140
1985

ISSN
ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ჯეჯილი

2
1985

# მუდამ მახსოვდეს

რას მივუმატებ იმ
სიმღერებს,
იმ ხოტბა-ქებას,
რაც შენზე თქმულა!
მხოლოდ ამას
გეტყვი შენი ძე:
შენა ხარ ჩემი საფიქრალი —
ჭმუნვაც და შვებაც,
სწორედ ამიტომ,
სათაყვანოვ,
რასაც შევიძლებ,
მინდა შენს სახელს
მივუნათო
ვით შუქი სანთლის,
შენთვის ვიღვაწო,
ვიმუშაკო
გულით, გონებით,
დედაშვილობის —
ჩვენეულის —
ვიცოდე ყადრი,
სადაც დაგჭირდე,
იქვე გავჩნდე
დაუყოვნებლივ.
ვერ გადაგიხდი
შვილი მშობელს
ვალს ვერასოდეს,
თუნდ უთვალავი
დღე ვალამო,
ღამე ვათენო,
მაგრამ ეს ვალი
უნდა მუდამ,
მუდამ მახსოვდეს
და ყველაფერი შემოგწირო
შენ, საქართველოვ!

**ს. შამურიანი**





**დიდი გამარჯვება 40**
**1945-1985**

ყოველ მშობელს ესახელება შვილი, რომელმაც თავისი გმირული საქციელით (სულ ერთია, შრომითი გმირობა იქნება ეს თუ საბრძოლო) მნიშვნელოვანი, სხვებისაგან გამორჩეული წვლილი შეიტანა ქვეყნის ძალისა და ღონის გაზრდასა და განმტკიცებაში.

ყოველი ოჯახისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ისეთი სოფელი, ქალაქი და რაიონი, რომელსაც სამაყო, თავმოსაწონი შვილები არ დაეზარდოს სამშობლოსათვის.

ერთ-ერთი მათგანი გახლავთ მახარაძის რაიონიც.

ქართველმა ხალხმა (და არა მარტო მან, რა თქმა უნდა) იცის თავის სასახელო აღზრდილთა ღვაწლის ჯეროვანი დაფასება. ამით იგი არა მარტო სამაგიეროს პატივს მიაგებს მათ, არამედ მომავალ თაობებსაც ასწავლის, როგორ უნდა გაიღოს კაცმა საკუთარი სისხლი და ხორცი მშობლიური მიწა-წყლისათვის, დასახული მიზნების მიღწევისათვის, ახალ სიმაღლეთა დასაპყრობად.

ამის მკაფიო მაგალითია ქალაქ მახარაძის ცენტრში ამაყად აღმართული ლამაზი ნაგებობა. იგი მე-18 არმიის საბრძოლო დიდების რესპუბლიკური სახელმწიფო მუზეუმის შენობა გახლავთ.

დიახ, **რესპუბლიკური**, და არა — რაიონული ან საქალაქო.

ვინც იცის, თუ რა დიდი წვლილი უდევთ ამ რაიონის აღზრდილებს რევოლუციურ მოძრაობაში, სამამულო ომის ფრონტებზე და მშვიდობიან შრომით საქმიანობაში, არ გაუკვირდება, თუ რატომ დაარსდა მაინცდამაინც მახარაძეში (და არა დედაქალაქში) ასეთი სახის მუზეუმი. მით უმეტეს, თუ მან ისიც იცის, რომ საქართველოში ერთადერთია ოჯახი, რომელმაც ორი საბჭოთა კავშირის გმირი მისცა სამშობლოს — ეს ლესელიძეთა ოჯახია (იგი



მე-18 არმიის საბრძოლო დიდების რესპუბლიკური სახელმწიფო მუზეუმი

ნუგზარ აფხაზავა

# მე შენს გზას მივყვები, წინაპარო!

მახარაძის რაიონის სოფელ ხვარბეთის მკვიდრი გახლავთ). გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძისა და მე-18 არმიის საბრძოლო გზა კი მტკიცედაა გადაჯაჭვული ერთმანეთთან.

დაარსების მომენტიდან — 1981 წლის 16 დეკემბრიდან დღემდე ეს მუზეუმი იყო და არის ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის მძლავრი კერა. მისი პირველი და უცვლელი დირექტორი, თავისი საქმის ბრწყინვალე მცოდნე და დიდი ენთუზიასტი გივი ხოხლენკო, აგრეთვე მუზეუმის თანამშრომლები მუდამ მზად არიან, მხარში ამოუდგნენ ყოველ სკოლას, ყოველ კომკავშირულსა და პიონერულ ორგანიზაციას მათი საერთო და მთავარი მიზნის — ღირსეული მოქალაქისა და პატრიოტის აღზრდის — განხორციელებისათვის ბრძოლაში. ეს კი ადვილი როდია, როცა საქმე გაქვს ვეებერთელა კონტინგენტთან — მახარაძის რაიონის 41 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში 15030 მოსწავლეა, ამათგან 6510 — პიონერი. მაგრამ საქმის სიყვარული, მონდომება და მუშაობის სწორი დაგეგმვა მუდამ სასურველ შედეგს იძლევა ხოლმე.

ამის საილუსტრაციოდ თუნდაც ერთი ფრიად საინტერესო და ღრმად შინაარსიანი შეხვედრის დასახელებაც კმარა. აი, რა გვიამბო ამ შეხვედრის შესახებ მახარაძის პიონერთა და მოსწავლეთა რაიონული სახლის მეთოდისტმა, წითელ კვალმაძიებელთა რაიონული შტაბის ხელმძღვანელ-მასწავლებელმა **მედეა ნაკაიძემ:**

— ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩვენმა შტაბმა, რომელშიაც შედის რაიონის 41-ვე საშუალო სკოლის თითო წითელი კვალმაძიებელი, საბრძოლო დიდების მუზეუმში შეხვედრა მოუწყო დიდი სამამულო ომის ვეტერანებს, ომის მონაწილე პედაგოგებს, იმ პიონერხელმძღვანელებს, რომლებიც ომის დროს მუშაობდნენ ამ თანამდებობაზე. წითელმა კვალმაძიებლებმა შეხვედრის მონაწილეებს უამბეს თუ, როგორ ეძებენ ისინი თავიანთ ქალაქსა და სოფელში ყველა თაობის პიონერებს, განსაკუთრებით პირველი პიონერული რაზმების შექმნის მონაწილეებს, ყოფილ პიონერებს, რომელთაც მერე სახელი გაითქვეს შრომის თუ ბრძოლის ფრონტზე. იწერენ მათ ნაამბობს, ქმნიან პირად საქმეებს და ამდიდრებენ სასკოლო თუ მე-18 არმიის საბ-



გურიანთელ პიონერებს ლანოვეცელი წითელკვალმაძიებლები ეწვივნენ.

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

პიონერი

2 თებერვალი 1985

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა



17.977

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



შთამბეჭდავია მე-18 არმიის საბრძოლო გზა.



— ნესტორ კალანდარიშვილი — „ციმბირელი პაპა" — ჩვენი რაიონის მკვიდრი იყო, — მოუთხრობს პიონერებს ექსკურსიამძღოლი.

რძოლო დიდების მუზეუმის ფონდებს. „სალუტ, გამარჯვება!" ოპერაციასთან დაკავშირებით, ისინი გულდაგულ სწავლობენ ცალკეული საბჭოთა ჯარისკაცის, ამა თუ იმ სამხედრო ნაწილის, პარტიული ჯგუფის საბრძოლო გზებს, აწყობენ გამოფენებს, კუთხეებს, საზეიმო ხაზებს... ბევრი კეთილი საქმე გააკეთეს და ამიტომ სათქმელიც ბევრი აქვთ მახარაძის 1-ლი საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელ თამარ ქართველიშვილს, მე-2 სკოლის მეათეკლასელ კახა ღლონტს, მერიის საშუალო სკოლის მეხუთეკლასელ ნატო მარგალიტაძეს, ნაგომრის საშუალო სკოლის მოსწავლე ელზა კვაჭაძესა და სხვებს...

შეხვედრაზე თბილი, მამაშვილური სიტყვითა და ფრონტული მოგონებებით გამოვიდნენ ომის ვეტერანები, ანასეულის საშუალო სკოლის პედაგოგი ვარდენ მენაბდე, ნასაკირალის საშუალო სკოლის მასწავლებელი შოთა ძველაია, ყოფილი პიონერხელმძღვანელი და ამჟამად ჯუმათის საშუალო სკოლის პედაგოგი მიხეილ დოლიძე და სხვები.

— აგერ უკვე 43 წელია, გადავინახე პიონერული ყელსახვევი, — თქვა **მ. დოლიძემ** და ხმა აუთრთოლდა, — მაგრამ ახლაც ცალი თვალი მუდამ პიონერებისკენ მიჭირავს. თავის დროზე არც ჩვენ ვისხედით გულხელდაკრეფილები, მაგრამ დღევანდელი პიონერები ჭეშმარიტად დიდ საქმეს აკეთებთ. ვინ მოთვლის, რამდენი სამკუთხა ბარათი აღმოაჩინეთ და გამოამზეურეთ, რამდენი საფლავი იპოვეთ და აღადგინეთ, რამდენ შაოსან დედას მოუფონეთ, რამდენი უსახელო საფლავი აახავერდეთ!.. თითოეული თქვენი მოპოვებული სამკუთხა ბარათი თუ შინმოუსვლელის საფლავი ძველი ტკივილების მალამოა. თქვენი ყოველდღიური საქმიანობა გვარწმუნებს, რომ იმ დიდ მსხვერპლს, საბედნიეროდ, დავიწყება არ უწერია...

ასეთი შეხვედრები მე-18 არმიის საბრძოლო დიდების მუზეუმში ერთეულები როდია.

ახლა მახარაძის 1-ლი საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელ **მანანა დობორჯგინიძეს** მოვუსმინოთ.

— საბრძოლო დიდების მუზეუმთან იმთავითვე მჭიდრო კავშირი დავამყარეთ, — გვიამბობს იგი. — მაგალითად, შარშან, 9 მაისს, საძმო საფლავთან ჩავატარეთ შეხვედრა დევიზით „რაც დავიწყებით არ იბინდება". გვესწრებოდნენ მუზეუმის დირექტორი გივი ხოხლენკო, მუზეუმის თანამშრომლები, ომის ვეტერანები... ამ საძმო საფლავში დაკრძალული არიან ის მებრძოლები, რომლებიც მახარაძის ევაკო ჰოსპიტალში მძიმე ჭრილობებისაგან გარდაიცვალნენ. ჩვენი წინამორბედი კვალმაძიებლების და სასკოლო საბრძოლო დიდების მუზეუმის მჭიდრო თანამშრომლობით დადგინდა 12 მეომრის ვინაობა. ესენი არიან რუსები ივანე პანკოვი და ვასილ ხოხლოვი, სომხები სერგო ასლამაზოვი და პეტროს ვართანიანი, აფხაზი ჩიკი ეშბა, უზბეკი ნუზურ ულიბეკოვი, აზერბაიჯანელი ყაჯი ალიევი და სხვები. მაშინდელი წითელი კვალმაძიებლები (1966-1975 წ. წ.) — თინა კუჭავა, ნინო გოგეშვილი, მანანა მაისურაძე, რუსუდან მახარაძე, ნაზი ქუტიძე, რუსუდან და ელიკო თოდრიები არც ახლა ივიწყებენ საძმო საფლავს. ჩვენც ხშირად მივდივართ იქ. საფლავებს უკვე დავადეთ ქვები და წარწერებიც გავუკეთეთ. მივწერეთ დაღუპულთა ახლობლებს. ზოგიერთი უკვე გამოგვეხმაურა, ნაწილი ჩამოვიდა კიდეც. საბრძოლო დიდების მუზეუმმა ქალაქის ხელმძღვანელობის წინაშე დაა-

ყენა საკითხი საძმო საფლავის ქალაქის ცენტრში გადმოტანის თაობაზე, თუ ეს არ მოხერხდა, ჩვენ განზრახული გვაქვს მუზეუმთან თანამშრომლობით ჩავატაროთ საძმო საფლავის რესტავრაცია...

რაიონის პიონერულ ორგანიზაციებში ხშირად ტარდება გასვლითი პოლიტინფორმაციები. უფრო ხშირად ამ პოლიტინფორმაციებს ხელმძღვანელობს მუზეუმის დირექტორი, ვეტერანი პიონერი და კომკავშირელი, სამამულო ომის ვეტერანი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი გივი ხოხლენკო. მისი პოლიტინფორმაციები და საუბრები მუდამ საინტერესო და მდიდარია, ამავე დროს კი — უაღრესად გასაგები და მისაწვდომი ყოველი ნორჩი მსმენელისათვის.

მაგრამ ვერავითარი გასვლითი პოლიტინფორმაცია, საუბარი თუ შეხვედრა ვერ შეცვლის იმ მართლაც დიდსა და წარუშლელ შთაბეჭდილებას, რომლის მიღებაც ნორჩებს მუზეუმის ექსპოზიციის დათვალიერებისას შეუძლიათ.



ლესელიძეთა ოჯახი ერთადერთია საქართველოში, რომელმაც ორი გმირი მისცა სამშობლოს — ვიქტორი და კონსტანტინე.



— მართალია, მუზეუმის ექსპოზიციის ძირითადი აქცენტი მახარაძის რაიონსა და მის აღზრდილებზეა გადატანილი, — გვესაუბრება პატივცემული გივი, — მაგრამ აქ, როგორც ხედავთ, ნათელმოფენილია მთელი საქართველოს და მთელი საბჭოეთის გმირული ბრძოლისა და შრომის ისტორია. სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ ეს მუზეუმი მარტო მახარაძელების, ან თუნდაც მარტო დასავლეთ საქართველოსი კი არ არის, არამედ მთელი რესპუბლიკის საკუთრებაა. მაგრამ, ბუნებრივია, ერთი მუზეუმი ყველაფერს ვერ დაიტევს და ჩვენც უპირატესად აქაური მასალები წარმოვაჩინეთ, ის მასალები, რომლებზედაც უფრო მიგვიწვდებოდა ხელი და რომლებსაც უფრო ადვილად შეუძლიათ შეარხიონ ჩვენი ნორჩი თაობის გულის პატრიოტული სიმები...

დიახ, ასეა, და ჩვენ პირადად გავხდით მოწმენი იმისა, როგორი მოკრძალებული აღფრთოვანებით, ფართოდ თვალგახელილნი, ლოყებაწითლებულნი ათვალიერებდნენ პიონერები და ოქტომბრელები ნესტორ კალანდარიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ ფოტოსურათებსა და დოკუმენტებს (ეს ის „ციმბირელი პაპაა," რომლის ზღაპრული მამაცობა ლეგენდად დარჩა შორეულ ციმბირში და ხალხმა თავის ლექსებსა და სიმღერებში უკვდავჰყო მისი სახელი). აგერ — „მესამედასელები", პირველი რევოლუციის წინამორბედნი... აგერ — დიდი ლენინის თანამებრძოლების, ფილიპე მახარაძის, იოსებ ჯუღაშვილის, მიხა ცხაკაიას, სერგო ორჯონიკიძის გვერდით...ცნობილი „ბახვის მანიფესტი", რომელმაც უმაღლეს იდეალად გამოაცხადა ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობა და დაადასტურა, რომ ქართველები, რუსები, სომხები თუ სხვა ხალხები ძმები არიან და თანხმობით უნდა იცხოვრონ... ლუკიანე თაბუკაშვილი, სამოქალაქო ომის გმირი... აგერ — ლესელიძეების ოჯახი, რომელმაც ორი საბჭოთა კავშირის გმირი მისცა სამშობლოს (ასეთი ოჯახი მხოლოდ თერთმეტია საბჭოთა კავშირში)... აქვეა იმ საბჭოთა კავშირის გმირთა ფოტოსურათები, რომლებიც ცხოვრობდნენ ან სწავლობდნენ მახარაძის რაიონში... და ბოლოს — ჩვენი მჩქეფარე ცხოვრების ამსახველი ფოტოები და დოკუმენტები.

— სულ სამიოდე წელია, რაც ჩვენი მუზეუმი არსებობს, — განაგრძობს პატივცემული გივი, — მაგრამ უკვე შევძელით 4000 ომის მონაწილეზე (ჩვენი რაიონის მკვიდრზე) შეგვექმნა პირადი საქმე. ზოგი ასე თუ ისე სრულია, ზოგში კი მხოლოდ თითო ფურცელი დევს, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი კვალმაძიებლების თანადგომით შევძლებთ მათ გამდიდრებას, შევსებას იმ გაცრეცილი სამკუთხა ბარათებით, სანახევროდ ფერგადასული ფოტოებით, ბიოგრაფიათა ფრაგმენტებით...

უკვე ტრადიციად იქცა: მოდიან საბრძოლო დიდების მუზეუმში და პიონერულ ფიცს დებენ გუშინდელი ოქტომბრელები; კომკავშირულ ბილეთს იღებენ ყმაწვილები, რომლებმაც გუშინ შეისხნეს პიონერული ყელსახვევი... უყურებ და გჯერა, რომ ეს წუთი სამუდამოდ დარჩება მათ მეხსიერებაში, რამეთუ თავიანთი საზეიმო დაპირება ამ ყმაწვილებმა სასახელო წინაპრების წმიდათაწმიდა ხაოვნის წინაშე დადეს.

მუზეუმის დირექტორის აზრით (რომელსაც, ცხადია, სავსებით ეთანხმება კომკავშირის რაიკომი), არ უნდა დარჩეს ერთი მოზარდიც კი, მუზეუმის ექსპოზიცია რომ არ დაათვალიეროს. თქმა არ უნდა, ამაზე, უპირველეს ყოვლისა, სკოლებს, პიონერულ რაზმეულებს მართებთ ფიქრი და ზრუნვა. მუზეუმთან მჭიდრო კავშირი აქვთ დამყარებული და მის ბაზას აქტიურად იყენებენ მახარაძის 1-ლი, მე-2, მე-4 საშუალო სკოლები, რომლებიც ხშირად ატარებენ მუზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფილო პაპას სიზმარი

მოთხრობა

ვალერიან ჩეკურიშვილი

მხატვარი თემურ ფჯიკიძე

ეხლა რომ არ გვეჩქარებოდეს, აგიყვანდი და დაგათვალიერებინებდი... მაშინ რომ ზარსა რეკავდნენ, ის ზარი ეხლაც იქ ჰკიდია; საბჭეო ლოდები, რომლებზედაც ხევისბერნი სხდებოდნენ და ომისა თუ სათემო საკითხებზე ბჭობდნენ, ეხლაც იქ აწყვია დახავსებულები.

ვინ იცის, ამ გორაზე რამდენჯერ აუვლია ვაჟა-ფშაველას სხვა ფშაველებთან ერთად, ხატში რამდენჯერ დამჯდარა მათთან ერთად, უქეიფია და უკაფიავია...

მონუსხული ვუსმენდი ხვთისო ბიძას.

რა გემრიელად და გულიანად ჰყვებოდა! არ მინდოდა გაჩუმებულიყო.

— აი, ეს არაგვი მაშინ კალმახითა და ორაგულით სავსე ყოფილა. „ორაგული" „არაგვულს" უნდა ნიშნავდესო, წერს ვაჟა ერთ თავის წერილში... იქნება მართლაც ასეა, ვინ იცის...

— ხვთისო ბიძავ, ახლა აღარ არის არაგვში თევზი?

— კალმახი კი, ორაგული არ იბედება. ზღვიდან ვეღარ შემოდის... ჰესები და კაშხალები უშლის...

წამოხტა. აღვირში სტაცა ხელი მეწინავე ჯორს, ძლივს დაათმობინა ბალახის ძოვა...

ისევ გავმწკრივდით გზაწვრილზე.

მალე დამთავრდა ჭალის ბილიკი და ციხეგორის აღმართს შევუდექით.

---

გაგრძელება. იხ. „პიონერი" № 1.

---

უმში სიმამაცის გაკვეთილებს, ინტერნაციონალურ შეხვედრებს, მიღებას პიონერულსა და კომკავშირულ ორგანიზაციებში. ასევე წარმატებით თანამშრომლობენ საბრძოლო დიდების მუზეუმთან ლანჩხუთის მე-2 საშუალო, ჯურუყვეთის საშუალო და სხვა სკოლების პიონერული ორგანიზაციები.

— პატივცემული გივი მართალია, — ამბობს მახარაძის კომკავშირის რაიკომის მდივანი **ნათელა დობორჯგინიძე,** — მუზეუმის ბაზა უფრო ფართოდ, უფრო ხშირად, უფრო ეფექტურად უნდა გამოვიყენოთ. უნდა ითქვას, რომ ჩვენ ძალზე შევეგუეთ შიგასასკოლო საბრძოლო დიდების მუზეუმების პრაქტიკას, ტრადიციის შეცვლა კი, მოგეხსენებათ, ძნელი საქმეა. მაგრამ ერთი ხელს არ უშლის მეორეს და მომავალში აუცილებლად გავაფართოებთ მუზეუმისა და პიონერული ორგანიზაციის კონტაქტებს. ისე, უნდა გითხრათ, რომ სასკოლო მუზეუმებიც დიდ საქმეს აკეთებენ...

ცხადია, და ჩვენ ამაში დავრწმუნდით, როცა ახლოს გავეცანით გურიანთის საშუალო სკოლის, მახარაძის კ. ლესელიძის სახელობის მე-3 საშუალო სკოლისა და რაიონის სხვა სკოლების მუზეუმთა მუშაობას. ბევრი, ბევრი სასიკეთო საქმის შემოქმედნი და მონაწილენი არიან მამუკა მალაზონია თუ ირმა გოგუაძე, მანანა ხაბალოვა თუ ლელა ურუშაძე, მიხეილ ჟღენტი, ნანა მაისურაძე, ნინო ნაცვალაძე, ზაზა ჭანიშვილი, გულიკო ნაცვალაძე, გელა ვასაძე... მაგრამ მათ და მათმა მეგობრებმა უფრო მტკიცედ უნდა ითანამშრომლონ საბრძოლო დიდების მუზეუმთან. აქ ყველაფერი ნათლად, ხელშესახებად მოგვითხრობს იმაზე, თუ რა დიდი და რთული გზა განვლეს დღევანდელი ნორჩების მამებმა და პაპებმა, თავიანთი სისხლისა და ოფლის, ხშირად — საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცვეს და შეგვინარჩუნეს თავისუფალი და განახლებული სამშობლო. და რაც უფრო ხში-

გრძელი გორი ყოფილა, მაგრამ ისეთი ყმედი აღმართი კი არა, როგორც ხოშარის გორია. თავისუფლად ვიარეთ, არც მუხლები დაგვციებია, არც გული ამოგვივარდნია... გვახალისებდა მთის სუფთა ჰაერი და უღამაზესი სანახაობა.

აღმართი ავათავეთ და პატარა ვაკე ადგილზე შევჩერდით.

— აი, აქაც ნასახლარებია! — ყორეებზე მიგვითითა ხვთისო ბიძამ, — იქაც... იმის იქითაც... აქეთაც... სულ ნასოფლარებია... აი, ამ მთებზე, გაღმა-გამოღმა ყველგან სოფლები ყოფილა, ხალხს უცხოვრია. ეს მთები სათიბ-საძოვრად არა ჰყოფნიდათ თურმე. ამბობენ, ბიჭი რომ გაუჩნდებოდათ, სიხარულის მაგივრად სწყინდათ, — ახლა ამას სადღა გამოვუნახოთ სახლ-კარიო.

ქართლ-კახეთის მეფეს რომ გაუჭირდებოდა, მთაში გამოგზავნიდა სიტყვას — არიქათ, ფშაველ-ხევსურნო, ჩამოგვეშველეთო.

აქ მაშინ თურმე იმდენი მეომარი იყრიდა თავს, მიწას უმძიმდა... აკი ვაჟა წერს კიდეც:

თითო ხევს არაგვისასა
თან მოსდევს ლაშქრის ღვარიო.

ეხლა? აი, როგორ დაცარიელებულია ამოდენა მთები... აქა-იქ მეცხვარეებს თუ მოჰკრავ თვალს, იმასაც — ზაფხულობით, ეს არის და ეს.

საქართველოს ძლიერებას ერთი მთავარი ფესვი მთაში ჰქონდა ჩადგმული, აი, ამ მთებში... ურიცხვი მტერი კახეთს რომ ააოხრებდა, ხალხი ამ მთებს აფარებდა თავს. აქ ვერაფერს აკლებდა მტერი. აქამდე არც მოჰყვებოდა. იცოდნენ, რომ აქ ყოველი ლოდის უკან მათი სიკვდილი იყო ჩასაფრებული, აქ კლდეთაშუა ბევრგან არის ისეთი გვერდაუქცეველი ვიწრო ბილიკი, სადაც ერთი ჩასაფრებული ფხიანი ფშაველი ას ურჯულოს უშავებდა მზეს.

ტყუილად კი არ ამბობენ ისტორიკოსები, საქართველო მთამ გადაარჩინაო. ჰოდა, ეს ჩვენი ამაყი მთები უყურადღებობისა და უპატრონობის გამო ასე დაიშრიტა სიცოცხლისაგან!..

დაღესტნის სახალხო პოეტი რასულ გამზათოვი წერს: ლურსმნებივითა ვართ ამ მთებში ჩაჭედილიო.

რატომ ჩვენ არ უნდა ვიყოთ ჩაჭედილი ჩვენს მთებში, სილამაზე აკლია, ღალა, ბარაქა თუ ნიჭი?

რამ აუყარა გული ჩვენს მამა-პაპას თავიანთ საქართველოზე?

რამ აიძულა ხალხი აქედან აყრილიყო და გადახვეწილიყო?

გზადაგზა კიდევ რამდენიმე ადგილას შეგვხვდა ბალახგადავლილი ნასახლარები, ანუ როგორც აქ ეძახიან — ნახოვლარები.

ცოტაც გავიარეთ და მშვენიერ ადგილზე გაშენებულ სოფელს გადავხედეთ.

— ვაკე ადგილზეა გაშენებული და იმიტომ ჰქვია ვაკისოფელი, — ამიხსნა მამაჩემმა.

ჩვენმა ბილიკმა სოფელს თავზე გადაუარა.

ღობის პირას ბილიკზე რომ მივდიოდით, ღობის შიგნით ორმა ნაცრისფერმა ბოხვერა ლეკვმა მიიქცია ჩვენი ყურადღება. ასე, სამი-ოთხი თვისანი იქნებოდნენ, მაგრამ ტანად ბელებს ჰგავდნენ. ერთად იდგნენ გაჯგიმულები და ვაჟკაცურად გვიყეფდნენ — ვინა ხართ, რა ხალხი ხართ, რას დადიხართ, აქ არაფერი მოგვპაროთო.

იქვე ოთხი-ხუთი წლის ორი წითელკაბიანი გოგონა იდგა, სალოკი თითები კბილებით ეჭირათ და დიდი, გაოცებული თვალებით გვიყურებდნენ. ეტყობოდათ, ტყუპები იყვნენ, საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს, ვარდებივით წითლად უღვიოდათ ლოყები.

რად გაიხსენებენ ამას ჩვენი მოზარდები, მით უფრო მტკიცე და ურყევი იქნება მათ გულში უპირველესი და უმთავრესი გრძნობა ადამიანური ადამიანისა — პატრიოტიზმის გრძნობა. რა სჯობს იმას, როცა უფლება გაქვს თამამად და ამაყად მიმართო მამა-პაპათა აჩრდილს:

— გჯეროდეს ჩემი! არ შეგარცხვენ! მე შენს გაკვალულ გზას მივყვები, წინაპარო!..



თ. ცაგარელის ფოტო

მართლაც, „არავინ და არაფერია დავიწყებული!" — პირველსკოლელი პიონერები ყურადღებას არ აკლებენ მეომრებს, რომლებიც ამ საძმო საფლავში განისვენებენ.

ერთი პატარა გორა კიდევ გადავიარეთ და სოფელ ჩალახევში გადავჩნდით.

სოფელი კი არა, ნასოფლარია. ოდესღაც კი აქედან აყრილან ჩემი წინაპარნი და პანკისის ხეობაში გადასახლებულან.

მაღლიდან რომ გადავხედე, მიწას ნაიარებივით აჩნდა ნახოვლარები.

მივადექით ფიქალი ქვით მშრალად ნაშენ ყორეებს, რომელთა შუა ხის ნაქერქალით გადახურული პატარა სამთო ქოხი იყო ჩადგმული. გვერდზე ბაკი იყო საქონლისა, წინ სიპი ქვის კერა და საცეცხლური.

— აი, ჩემი ციხე-დარბაზი! — რაღაცნაირი თბილი, მოსიყვარულე იუმორით თქვა მამაჩემმა.

— აქა მშვიდობა! — თქვა მთის წესისამებრ ხვთისო ბიძამ.

— აქა მშვიდობა, კეთილი იყოს ჩემი ფეხი! — ვთქვი მეც.

ხვთისო ბიძამ შემომხედა და გამიღიმა.

ბარგი მოვხადეთ და ცხენ-ჯორები გრძელი საბლებით ახლომახლო საძოვარზე დავაბით. მერე მივბრუნდით და ბარგი ისე დავაწყეთ, გავდრების შემთხვევაში ქვემოდან წყალი არ შესდგომოდა.

ის იყო პურის საჭმელად ვაპირებდით დასხდომას, რომ ფიდო პაპა მოგვადგა გაღიმებული:

— აბა, გამარჯვებათ, კაცებო, გამარჯვებათ! მოხვედით მშვიდობითა! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მამა-პაპათ ნაბინავარზედა!.. ხელი მოგიმართოსთ გულით ნანატრისა და ნაფიქრალის ახდომა-გაცხადებაში! — ჩამოგვიარა და მაგრად ჩამოგვართვა ხელი.

— აბა, როგორ იმგზავრეთ, გზაში ხომ არ დაღონდით? — პასუხს არ ელოდებოდა, ისე მიჯრით გვეკითხებოდა.

ჩვენც მოვიკითხეთ კაცითა და ნაქონ-ნაყოლით.

— არა გვიჭირს მომეტებულადა, ვართ ბებრების კვალობაზე, ვათენ-ვაღამებთ. მადლობელი ვარ მოკითხვისთვის. ძმაო ივანე, — მიმართა მამაჩემს, — ძროხები უჭირველ-უტკივარნი უკლებლად დაგახვედრე. ნაწველისა ზოგი ყველი გავაკეთეთ, ზოგი — კარაქი, — უმალვე ჩააბარა ფიდო პაპამ ანგარიში.

— ეხლა ძალიან აღარ გაგიჭირდებათ, აი, კაცი მოგემატათ! — ხვთისო ბიძამ ბეჭებზე მომითათუნა ხელი.

— ჰო, აქ კაცი, და ისიც ჯეილი, დიდი იმედია! — დაემოწმა ფიდო პაპა, — თუ მალევე არ გაგვექცა, — თან თვალებში შემომხედა.

ხვთისო ბიძამაც შემომხედა, რას იტყვიო.

— ჯერ არ მოვსულვარ და გაქცევაზე, აბა, რა გითხრათ...

მე და მამა დავტრიალდით. ამოვალაგეთ კიტრი, პამიდორი, ხილი, დედაჩემის გამომცხვარი საგზალი და ტიკით გამოყოლებული საგზაო.

ფიდო პაპამ აიღო პირველი სასმისი, ქუდი მოიხადა და გულიანად დაგვლოცა, „ადგილის დედას“ შესთხოვა, კეთილი თვალით და გულით მიიღე მთაში საცხოვრებლად მობრუნებული ივანე და მისი ცოლშვილიო.

ფიდო პაპა ძველი კაცია.

მარტოობით შეწუხებული თვითონაც ბარში ჩამოსულა საცხოვრებლად. ჩვენს სოფელში ჩვენს მეზობლად აუშენებია ორსართულიანი სახლი. დაუწყია ბარული ცხოვრება, მაგრამ ვერა და ვერ შეჩვევია ბარის წყალსა და ჰაერს. ზაფხულში სული ეხუთებოდა თურმე. შვილები რომ წამოზარდა და დააოჯახა, მერე თავის მართას მოჰკიდა ხელი და ამ ათიოდე წლის წინათ ისევ მთაში გამოიქცა, თავის ნასახლარში ისევ დაანთო კერა — აქ უნდა მოვკვდე, აქ უნდა დავიმარხოო.

სიზმარივით მახსოვს ამ კაცის მთაში წამოსვლა. იმის შემდეგ აღარ ჩამოსულა ბარში. შვილები და შვილიშვილები ესტუმრებიან ხოლმე ზაფხულში, ეს არის და ეს.

ხვთისო ბიძამაც გულიანად დალოცა ჩვენი მთაში დაბრუნება, მამა-პაპათა გაცივებულ კერაში ცეცხლის დანთება, ჩამოშლილი, უმზეოდ ჩამოგვალული, დაყრუებული კედლებისთვის სიცოცხლის დაბრუნება.

— ამ მიტოვებულ მთებში კიდევ ერთი კომლის მობრუნება საქართველოს დიდი სიხარულია. ეს მთები კიდევ ელოდებიან თავიანთ გაქსუებულ შვილებს. იმედი აქვთ, ეხლა სხვებსაც გაუჩნდებათ აქ მობრუნების სურვილი... აგერ რამხელა დადგენილება მიიღო მთავრობამ. მერაბ, წაიკითხე? — მკითხა.

— არა.

— რა დადგენილება? — ყური ცქვიტა მამაჩემმაც.

— აბა, მე კი ვინ რას მეტყოდა... მითხარით ბიძაილასა, თუ რამე კარგი იცით, — თითქმის შეგვეხვეწა ფიდო პაპა.

— კაცო, არც თუშეთის ამბავი იცით?

ის კი.

— ჰოდა, ფშავშიც აპირებენ გზისა და სინათლის გამოყვანას.

— კარგი, ნუ ხუმრობ! — არ დაიჯერა ფიდო პაპამ. — დაპირება ბევრისა შეიძლება, შესრულებაა მთავარი!

— მე რომ შენ ადგილას ვიყო, შეიძლება მეც არ დამეჯერებინა...

— ხვთისო, შვილო, აბა რა დასაჯერებელია. ამოდენა მანძილზე მარტო ჩემთვის და ივანესთვის ხომ არ გამოიყვანენ გზასა და სინათლეს!

— მერაბ, ამათ არა სჯერათ, ნუ სჯერათ!.. შენ აუცილებლად წაიკითხე ის დადგენილება. იქ მთიელი ახალგაზრდების უმაღლესში მიღების შეღავათებზედაც წერია. უკონკურსოდ ჩაირიცხებიანო, გაიგე?

ხმა არ ამომიღია.

„მე უმაღლესში შემსვლელი არა ვარ, უკონკურსოდ კი არა, უგამოცდოდაც რომ ჩამრიცხონ“, — გულში გავიფიქრე, ხმამაღლა კი, აბა, რა მათქმევინებდა, სულელს დამიძახებდნენ.

— კი, აუცილებლად წავიკითხავ, — შევპირდი.

ამის შემდეგ თითო ჭიქა დალიეს და ხვთისო ბიძა წამოდგა, შორი გზა მაქვს, დამაგვიანდებაო.

ცხენ-ჯორ-სახედრებს ცარიელი ხურჯინები თასმებით დავაკარით ტახტაზე. ხვთისო ბიძა დაგვემშვიდობა. მამაჩემმა ჯიბეზე ხელი გაიკრა, ფული ამოიღო ცხენ-ჯორებისა და კაცის ფეხის ქირის გადასახდელად.

— აბა რას ამბობ, მე შენ ფულს გამოგართმევ?! აქ საცხოვრებლად მობრუნებულ კაცს რომ ქირა გამოვართვა, მაშინ მე რაღა კაცი ვიქნები! ნეტა დღეში თითო კომლი ამომაყვანინა, მთელი წელი ისე ვიმუშავებდი, კაპიკს არავისგან ავიღებდი! — თქვა ხვთისო ბიძამ.

მამაჩემმა ძალა მიატანა, მაგრამ ხვთისო ბიძამ მოიგერია.

სალთა ცხენ-ჯორ-სახედრები წინ გაირეკა შოლტის ტყლაშუნით და წავიდა თავის საფერხეზე ამხედრებული.

ფიდო პაპას გადმოვუდგით შვილების გამოგზავნილი ორი თეთრი ვედრო, რომლებშიც, ჩემი ვარაუდით, კიტრი, პამიდორი და ხილი იყო. მთაში ასეთი რამ ფასობს ყველაზე მეტად.

აშკარად შეეტყო, გაუხარდა შვილების ყურადღება.

დაავლო ხელი ამანათს და ისიც დაგვემშვიდობა.

მე და მამა ჩვენი უბადრუკი ქოხის წინ ვისხედით და სამომავლოზე ვლაპარაკობდით.

უსახლკარონი ვიყავით. რა თქმა უნდა, პირველ რიგში ორი ოთახის კედლები ხელახლა უნდა ამოგვეშენებინა, მერე გადაგვეხურა, კარ-ფანჯრები ჩაგვეყენებინა, ბოსელი აღგვედგინა. შემდეგ თიბვა მოგვადგებოდა კარს, ზამთრისთვის პირუტყვის საკვების მომარაგება იყო საჭირო. უნდა მოგვემარაგებინა შეშაც, ჯერიც. ზამთრისთვის აქედანვე უნდა გვეზრუნა. ასე რომ, საქმე თავსაყრელად გვქონდა.

— მამა, მოვასწრებთ? — ვკითხე დაეჭვებულმა.

— როგორ არ მოვასწრებთ!.. ზაფხულის დღე დიდია, ყოჩაღი კაცი ერთ დღეში ერთი კვირის საქმეს მოასწრებს, — არხეინად, დაჯერებულად თქვა მამამ.

ბარში ასეთ საქმეებს გაცილებით ადვილად და მოკლე დროში მოასწრებს კაცი. იქ ტრანსპორტია, ტექნიკაა, მეზობელია, მეგობარია, ხალხია, მოიხმარებ, საქმეს გაიადვილებ. აბა, აქ რა უნდა ქნას კაცმა, ყველაფერი ხელითაა გასაკეთებელი. ხის მასალა ცულით უნდა მოჭრა ტყეში, ხარებით მოათრიო, (კიდევ კარგი, ფიდო პაპას ჰყოლია), ნაჯახით გათალო...

— ნამგზავრები ვართ, დღეს დავისვენოთ, ხვალ კი დილიდანვე არაგვის გაღმა გავცვივდეთ ცულებით და მასალა მოვჭრათ, ჭალაში ჩამოვყაროთ, გავთალოთ... მერე ხარებით ამოვზიდოთ, — თქვა მამამ.

უცებ გამოიკვეთა სახვალიო საქმე.

დასვენება დავარქვით, თორემ საშინაო საქმეებს მოვანდომეთ ის ნახევარი დღე. ბარგი დავალაგეთ, ყველაფერს თავისი ადგილი მივუჩინეთ. ფქვილიანი ტომრები, მარილი, ტყვია-წამალი ისე შევინახეთ, ძალიანაც რომ გაავდრებულიყო, წყალი ვერ მიეკარებოდა.

ნაჭერქალით სახელდახელოდ გადავხურეთ საცეცხლურიც.

მამაჩემი ქოხის წინ იდგა დოინჯშემოყრილი და მილაგებულ ბარგს უყურებდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

— კატაა საჭირო, კატა!.. ნეტა გაგვხსენებოდა, შინიდან წამოვიყვანდით. თაგვები ფქვილიან ტომრებს დაგვიჭრიან, — თქვა მან.

— ძაღლი კი არ არის საჭირო? (ვაკისოფელში ნანახი ბოხვერა ლეკვები გამახსენდა).

— ძაღლიც საჭიროა და მამალიც, — დაუმატა მამაჩემმა. — ხანდახან მამლის ყივილმა თუ არ გახია სიჩუმე, კაცს შეიძლება ეგონოს, დავყრუვდიო... ქათმებს კიდევ იშოვის კაცი, ლეკვისა და კნუტის შოვნა გაჭირდება.

ხელები უნდა გადამებანა. წყალი არ აღმოგვაჩნდა. ავიღე ვედრო და დიყიანში გაკვალულ ბილიკს ხევისაკენ გავუყევი. მივდიოდი და ვფიქრობდი: „ოდესღაც ამ ბილიკით დადიოდნენ წყალზე ჩემი წინაპრები — დიდი ბებო, დიდი პაპა, იმათი შვილები... მერე გაქრა ყველაფერი... ხალხმრავლობისა და უკაცურობის მომსწრე ეს კამკამა წყალი კი ისევ ისე მოჩხრიალებს, როგორც წინათ, დიდი ხნის წინათ... ალბათ მხოლოდ ამ ერთს სწამდა, რომ აქ კვლავ მოვიდოდნენ ადამიანები, აუცილებლად მოვიდოდნენ. მოთმინებით გველოდა და აი, მოვედით“.

— გამარჯობა, კამკამა ნაკადულო! — ხმამაღლა მივესალმე.

— გაგიმარჯოს! — მიპასუხა ნაკადულმა. (ეს მხოლოდ მე გავიგონე).

— როგორ ბრძანდები? მარტოობა მოგწყინდა?

— მომწყინდა!.. ძალიან მომწყინდა.

— კალმახი არა გყავს?

— არა!.. რა ვაჭამო, არაფერი მაქვს! გზადაგზა თუ რამეს ვიშოვი, დედა არაგვისკენ მიმაქვს, იქ მელოდებიან ჭრელი კალმახები, უხარიათ, ჩემი მიტანილი საჭმელი... თქვენ აქ იცხოვრებთ, თუ ისევ წახვალთ?

— სულ აქ ვიცხოვრებთ.

— აუუუ, რა კარგიააა!..

— ჯერ ასე ვფიქრობ, ვნახოთ მერე.

— ოღონდ აქ იცხოვრეთ და, მე ყოველ დილით მოგემსახურებით, დაგბანთ პირს, მოგიკლავთ წყურვილს...

უკან რომ ვბრუნდებოდი, მომეჩვენა, თითქოს ამ ბილიკით სხვა დროსაც დავდიოდი... საოცრად ნაცნობი მეჩვენებოდა იქაურობა, საოცრად მეთავისებოდა ის ნაკადულიც, ბილიკიც, ქვის ყორეებიც... ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სიზმრის გახსენება მინდოდა და ვერ ვიხსენებდი.

მზე რომ გორის ფხაზე დაჯდა, ჩრდილი რომ არაგვს გაღმა გავიდა, მამამ ჩალახევის გაღმა გამახედა, — აგერ, ჩვენი ძროხები მოდიანო.

სამი ძროხა და ერთი მოზვერი ძოვა-ძოვით მოჰყვებოდნენ ბილიკს შინისაკენ. წინ მოზვერი მოუძღოდათ, მამა რომ „უდარდელას“ ეძახდა.

— უდარდელავ, გაგიმარჯობა! — გავძახე ხევს გაღმა.

უდარდელამ თავი ასწია და გამოიხედა — ვინა ხარ, ვინ იძახიო.

— ქვამარილი მოგიტანე, ქვამარილი!



თავი დაიქნია და ძოვა განაგრძო — შენი მოსატყუებელი კბილი კაი ხანია მოვიცვალეო.

ჩრდილები რომ აიკრიფა, უდარდელამ კარზე მოგვაბლავლა — მოვედით, გამოგვხედეთო.

— მოხვედით მშვიდობითა! — მივესალმე.

დიდი, გაოცებული თვალებით მიყურებდნენ.

— აიღე ქვამარილი და გაუტანე, სათითაოდ დაუწყე, დაამახსოვრდებათ, მოგეჩვევიან, — მითხრა მამამ.

მეც ავიღე და გავუტანე.

— ქალები არიან, ჯერ — ამათ, მერე — შენ! — შევახსენე უდარდელას ზრდილობის ანბანი, და პირველად ფურებს დავუწყვე. შევატყვე, ეს წესები უდარდელას მაინცდამაინც არ მოეწონა, ჭრელი ფური გააგდო და მარილს თვითონ დაუწყო ლოკვა.

— უჰ, შენ უდარდელა კი არა, უზრდელა ყოფილხარ, — ვუსაყვედურე, მაგრამ იმან ჩემი ნათქვამი ყურშიც არ შეუშვა.

მარილის გოხი ჭრელ ფურსაც გამოვუტანე.

— მაგას „მასკვლავა“ ჰქვია, — მითხრა მამამ. — წითელს — „ღებილა“, მესამეს — „თვირთვილა“. კაი ფურები გამომადგნენ, ღალიანი რძე აქვთ.

გამოვიტანეთ ვედროები და მოწველა დავიწყეთ.

მე მასკვლავას მივუჯექი. მამას ეგონა, მიუცხოვებდა, არ მიმიკარებდა, ან რძეს დამიმალავდა, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი.

— საკვირველია... ყოველთვის მოფერება უნდა... თუ გუნებაზე არ არის, არც მიგიკარებს! — თქვა მამამ.

— ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო... ამოდენა მარილის გოხი ტყუილად კი არ მივართვი!.. — ცოტა წავიტრაბახე.

ეტყობოდათ, მონატრებული ჰქონდათ მარილი, ხარბად ლოკავდნენ.

ვიდრე მე მასკვლავას ჩამოვწველიდი, მამაჩემმა ორივე ძროხის მოწველა მოასწრო. შეუჩვეველი ვიყავი და ხელები მალე დამეღალა.

თბილი რძე სპილენძის დიდ ქვაბში ჩავწურეთ.

— ივანე! — ხევის გაღმიდან ფიდო პაპამ დაიძახა.

— ჰო, ჰო! — გასძახა მამამ.

— ძროხებს რომ დასწველავთ, მერე ჩვენსა გადმოიარეთ, ერთად ვივახშმოთ!

— ჰო, კარგი, კარგი...

ფიდო პაპა გორის იქით გადაეფარა.

— ხინკალზე გვეპატიჟება! — თქვა მამამ.

— რა უშნოდაა ის პატარა გორა შუაზე! გვეფარება... ან ის ცხოვრობდეს აქეთ, ან ჩვენ დავსახლებულიყავით იქით! — ვთქვი გულდაწყვეტილმა.

— ეგ მეც ვიფიქრე, ჩემო მერაბ, მაგრამ ეხლა ამ საქმეს არაფერი არ ეშველება. ის კაცი იქ დაიბადა, იქ გაიზარდა და იქ უნდა ცხოვრება. ჩვენი გულისთვის რატომ აიყრება, აქ რატომ გადმოსახლდება?! ჩემი წინაპრები კი აქ ცხოვრობდნენ და მეც აქ მინდა ვიცხოვრო, თორემ ერთ და ორ ძროხას განა ბარში ვერ ვიყოლიებდი.

ახლაღა მივხვდი: აი, თურმე რა ეწეოდა მამას მთისაკენ.

საქონელი ბაკში შევყარეთ.

ბნელში რომ არ გვეწვალა, ლოგინები დღის სულზევე გავშალეთ.

რძიან ქვაბს ხის სახურავი კარგად დავაფარეთ და მაღლიდან სიპი ქვები დავაწყეთ, ვედროები გამოვრეცხეთ, თავდაღმა დავამხეთ, ხელები გადავიბანეთ, ფარანი ხვიღეთ და მეზობლისაკენ გავუყევით ბილიკს.

ჩალახევასთან რომ მივედით, მომეჩვენა, თითქოს ნაკადულს ძალიან გაუხარდა ჩვენი დანახვა. გახალისდა, გადაირია, სირბილს და ჩუხჩუხს უმატა. თითქოს თავს გვაწონებდა, აი, მიყურეთ, რა კარგი, რა ყოჩაღი ვარო.

გადავახტით, გავცილდით და მოიწყინა.

„რა იყო, სულ კი არ მივდივართ, ისევ აქეთ გამოვივლით“, — გუნებაში ვთქვი, თან უკან მოვხედე.

ფიდო პაპას სახლს რომ მივუახლოვდით, ღობის ძირიდან დათვისოდენა ძაღლი წამოდგა და ბოხი ხმით დაგვიწყო ყეფა.

შევჩერდით. დაძახებას ვაპირებდით, რომ ამ დროს ფიდო პაპამ გამოიხედა, სახელოები აეკაპიწებინა, ხელში შიშველი ხანჯალი ეჭირა. ძაღლს გაუჯავრდა — დაიკარგე, ნუ ღავლავებო.

ისიც გაჩუმდა და გაიძურწა.

მართა ბებოს ხელები ვარცლში ჰქონდა, სახინკლე ცომს ზელავდა. დაგვინახა და დიდის ამბით მოგვიკითხა. დასხედით, გენაცვალეთ, დასხედით, ხინკალი დავახვიოთ, ერთად ვივახშმოთო.

ფიდო პაპა ისევ საკეფელას მიუჯდა.

ცეცხლზე სპილენძის მოზრდილი ქვაბით იდგა წყალი.

მე და მამა ტახტზე ჩამოვსხედით.

საიდანღაც გამოძვრა კატა, გაიზმორა, მერე კუდი აიპრიხა და წვივებზე დაგვიწყო ქლასუნი. თავისებურად მოგვესალმა და ხმადაბლა აკრუტუნდა, სტუმრების მისვლა იმასაც გაუხარდა.

მე და მამამ ხელები გადავიბანეთ და ხინკლის კეთებაში ჩავებით.

მართა ბებო ბარის ამბებს გვეკითხებოდა. ათ წელზე მეტია, რაც იქიდან წამოვედით და იქაურობა მომენატრაო.

— ფიდო პაპავ, ათი წელი მარტოკებმა როგორ გას-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ძელით აქ, ან ექიმი არ დაგჭირდათ, ან წამალი, ან მეზობელი?..

— უმეზობლობა ძალიან ძნელია! კაცს თუ ვინმეს იმედი არა აქვს, გაძლება ძნელია, მაგრამ მაინც გავძელით... ჩვენი თავისა ექიმიც ჩვენა ვართ და პრავიზორიც. წამალი რამდენიც გინდა, იმდენი გვაქვს, ჩემო მერაბო! ეს — მთის ანკარა წყალი, ჩემო ძმაო, — დაიწყო ჩამოთვლა, — ეს — სუფთა ჰაერი, თბილ-თბილი რძე, ახალ-ახალი კარაქი, უცეცხლო თაფლი, ხუნწრის, თავშავას და დეკის ყოილის ჩაი. ნიორი — უებარი წამალი, ყველა ავადმყოფობას უხდება; ზაფხულში — კალმახი, ზამთარში — დათვის ხორცი... აი, ეს არის ჩვენი წამალი... მეტი არცა სჭირდება კაცსა! არ ვიცი, ჩვენ აქ ისე ავად არ გავმხდარვართ, რომ ლოგინში ჩავწოლილიყავით თუნდაც ერთ დღეს.

—უწინ, გენაცვლე, აქ ბევრ ხალხს უცხოვრია. აი ეს მთები სულ სავსე ყოფილა სოფლებითა. არც მაშინ ყოფილა აქ ექიმი და აფთიაქები, მაგრამ ხალხს დიდხანს უცოცხლია. მთა თავისთავად წამალი და ექიმია, შვილო! — თქვა მართა ბებომ. — ეგრე რომ არ იყოს, აბა, ჩვენ რა გაგვაძლებინებდა ამდენ ხანს?!

სამივე კაცი ვახვევდით ხინკალს. ფიდო პაპა ხორცისას, მამა — ხაჭოსას, მე — კარტოფილისას.

შევეჯიბრეთ, ვინ უფრო ლამაზებს დავახვევდით.

მართა ბებომ ერთი გადახედა და ფიდო პაპას დახვეულს დაადო ხელი, ეს არის ყველაზე ლამაზიო. მეორე ადგილზე გავიდა ჩემი დახვეული, მესამეზე — მამაჩემისა.

პირველი ჩაყრილი რომ მოიხარშა, ფიდო პაპამ ძველებური ჯერიანი ქაფქირით ხონჩაზე ამოყრა დაიწყო და მითხრა:

— მერაბო, ერთ გამოცანას გეტყვი, აბა თუ გამოიცნობ:

შავი შამოჯდა ყორანი
წითელსა ეკლესიასა,
ჭრელებს გადმაჰყრის გუდებსა —
ხორციანსა და წვნიანსა.

გამოცანას რომ ამბობდა, თან გავყურებდი, ხინკალს როგორ ამოჰყრიდა. თვალით ვხედავდი, რაც იყო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



## ვახტანგ გორგანელი

# ფორე მოსულიშვილის ბალადები

დიდი სამამულო ომის დროს გერმანელმა ჯარისკაცებმა ტყვედ ჩაიგდეს ქვემომაჩხაანელი ფორე მოსულიშვილი. მან ტყვეობიდან გაქცევა მოახერხა და იტალიელ პარტიზანებს შეუერთდა.

1944 წლის 3 დეკემბერს თექვსმეტი პარტიზანი მტერმა ალყაში მოაქცია. პარტიზანებს ტყვია-წამალი გაუთავდათ. მოძალადეთა უფროსმა გამოაცხადა: პარტიზანთა რაზმის მეთაური თუ ჩაგვბარდება, დანარჩენებს სიცოცხლეს შევუნარჩუნებთო.

იტალიელი მეთაურის — ედო დელგრატოს მაგივრად მისი თანაშემწე ფორე მოსულიშვილი წარდგა, — მე ვარ მეთაურიო, მაგრამ იგი ცოცხალი არ დანებდა მტერს. გაუმარჯოს სამშობლოს თავისუფლებასაო, დაიძახა და თავისთვის შემონახული ტყვიის წერა გახდა.

1970 წელს, დიდი სამამულო ომის დამთავრების 25 წლისთავზე, ფორე მოსულიშვილს იტალიის ეროვნული გმირის საპატიო წოდება მიენიჭა.

ფორე მოსულიშვილის უკვდავ გმირობას ამ ათი წლის წინათ ვუძღვენი ლექსების წიგნი „ნახტომი იტალიის მთებიდან". ახლახან დავწერე ლექსების ახალი ციკლი. გთავაზობთ რამდენიმე ლექსს ამ ციკლიდან.

### მერხი

დიახ, აქ იჯდა, ამ მერხზე, ფორე,
აქ ტრიალებდა ამ კედლებს შორის.
ამ ფანჯარასთან გადმოხრილ წნორებს
დღესაც იმ დღეთა ედება თქორი,
დღესაც იმ თვალით გავცქერი სივრცეს,
რომ შლიდა ფიქრში მიმწუხრის ლაქებს.
აქ შესწავლილი ცხოვრების სიბრძნე
ფორემ ქარცეცხლში აქცია საქმედ.
მაშინ ოცნებით გაჭრილი ხნული
ახლა ჰყვავის და ფერებში იწვის.
მერხზე თამამად ზის გაზაფხული
და მოგონებებს ვარდივით გვიწვდის.
ირგვლივ ისეთი სიწყნარე სუფევს,
წუთია ისე ფარული ღელვის,
თითქოს გამოცდა დამთავრდა უკვე
და ფორე ნიშნის დაწერას ელის.
თითქოს ვიღაცა დერეფნის იქით
ყვავილებს კონავს დუმილთან ერთად,
საცაა შეჰკრავს კამარას ჩიტი,
რომ ხუთიანი ახაროს დედას.
შორი ხმა წვეთავს მაისის ეზხში,
ხმა — დავიწყებას მარად ამცდარი...
ფორეს ბავშვობას ინახავს მერხი,
როგორც ნაღვერდალს თბილი ნაცარი.



მხატვარი ირა რაზმაძე

## ბროწეული

როცა ცისკარი
კახეთის ზვრებს სხივებს აღვრიდა,
როცა ალაზანს
ედებოდა სუნთქვა მთებური,
ეს ბროწეული
წამოვიღე შენი სახლიდან,
შენი ჩამოსვლის
იმედებში დამწიფებული.
მოუსვლელობის,
ვაგლახ, ფორე, ვიცი მიზეზი,
ვიცი, რა დარდით
მოციქულობს სიო შენამდე.
ნატვრის თალარი
იჯაგნება მაინც იმედით,
დილით ბროწეულს
მაგიდაზე თვალს რომ შევავლებ.
გარეთ ტოტები
აფრებივით ქარს აჰყოლიან,
ირხევიან და
ზედ აფენენ ჩრდილებს
გზაწვრილებს.
კარს შემოაღებ
საცა არის, ასე მგონია
და ამ ბროწეულს
შენი ხელით გაგვინაწილებ.

## შენი სახელით

სოფლის ბავშვებმა
ალაზანი გადინადირეს,
მოიგონეს და
გაატანეს ზვირთებს ნაღველი.
ზვრების გადაღმა
მოლივლივე ყანა გათიბეს
და დაახვავეს
გზის პირებზე შენი სახელით.
ზევით და ზევით
მზე როგორც კი
ლაჟვარდებს ასწევს,
სიმაღლესავით
კიდევ უფრო ღელვამ იმატა...
დედაშენმა რომ
აუტანა სამხარი ბავშვებს
და იმ ჩეროში
გაუშალა, შენ რომ გიყვარდა.
თან ჩურჩულებდა:
„გამიცოცხლეთ, ბავშვებო, ფორე,
თქვენი კისკისი
ჩემი სულის იქცა მალამოდ"...
ალაზანიდან
მოჰყვებოდა ნიავი წნორებს
და ნიავივით
მეფდებოდა წყნარი საღამოც.
როცა მინდორი
გადისარკა მთვარის ფერებით,
კოცონებივით
აბრიალდნენ ცის ალმასები,
შენ რომ გიყვარდა,
სულის მთუთქავ იმ სიმღერებით
და იმ სილაღით
ორღობეებს გაჰყვნენ ბავშვები.

## გემი „ფორე მოსულიშვილი"

„შავ ზღვაში ჩაუშვეს გემი
„ფორე მოსულიშვილი".
გაზეთებიდან.

ვკამათობ, ვდავობ ბედის ქარებთან,
მივდევ, ვეძახი დღეებს გოლიათს.
მარადისობას და უკვდავებას
რა საოცარი წესი ჰქონიათ.
მგონია, მოხველ და იკლავ წყურვილს,
შავი ზღვის ტალღებს მიანდე ბედი,
რომ გაიგრილო მხურვალე გული
და დაცხრილული ტყვიებით მკერდი.
ეს შხეფებია თუ ცვივა ვარდი,
ცისკრის დროშების მოგვყვება ქარი,
ტალღებს შეუკრავთ სამეფო ტახტი
და შემოდიხარ ამ ტახტზე მდგარი.



ნაპირებს ისე ჩურჩულით მოვდევ,
თითქოს ზღვის ღელვა ჯერ არ
მეხილოს.
მინდა გემს ვუთხრა: სალამი, ფორე,
და როგორც ძმა ძმას გადავეხვიო.
მინდა ვადიდო სულის ზიარი,
შენაფიცარი გიზგიზა აპრილს,
გემი კი არა, ადამიანი,
საბედნიეროდ მომდგარი ნაპირს.
მინდა ვესესხო ფერები სოსანს,
ზამბახებს თრთოლვა, იებს სინაზე,
რომ მივულოცო დიდებით მოსვლა
და დაბრუნება მშობელ მიწაზე.



# მობრძანდით, წიგნთან დაუმეგობრდით

დირექტორის მოადგილე ნ. გიწაძე აქტივისტებთან.

ნორჩ მკითხველს ლიტერატურის არჩევანი აქვს.



**მანანა გელაშვილი**

გიორგი ცაგარელის ფოტო

შემცივნებულმა ბიჭმა თამამად შემოაღო კარი, მამლის ბიბილოს მაგვარი ნაქსოვი ქუდი მოიხადა, ბიბლიოთეკარს მიესალმა და გამოსაცვლელი წიგნი გაუწოდა. მერე წასაღები წიგნიც დაუსახელა და ვიდრე ბიბლიოთეკარი ბარათს უვსებდა, ფრთხილად გადაშალა იგი.

„— ტომ!

პასუხი არ არის.

— ტომ!

პასუხი არ არის.

სად დაიკარგა ეს ბიჭი!

საოცარია, სად უნდა დაკარგულიყო ეს ბიჭი!.. ტომ!

პასუხი არ არის“.

ხომ გახსოვთ, რომელი წიგნი იწყება ასე? რასაკვირველია, „ტომ-სოიერის თავგადასავალი!“ ალბათ, დღიდან მისი დაწერისა, დაწერით კი მარკ ტვენმა იგი 1876 წელს დაწერა, არ დარჩენილა ტომის, ჰეკისა და ბეკის არც ერთი თანატოლი, ეს ღიმილიანი წიგნი რომ არ წაეკითხოს, ახლა კი ამ ბიჭის ჯერი დამდგარა და რამდენი სიხარული ელის მას წინ!

ერიჰაა! წიგნში ცხვირჩარგულს დამშვიდობება დაავიწყდა. ეპატიოს, მარკ ტვენის ბრალია.

რამდენი ასეთი გოგო-ბიჭი შემოაღებს ნინო ნაკაშიძის სახელობის ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკის კარს ყოველდღე, ზოგი დედისა თუ ბებიის თანხლებითაც მოდის, ბიბლიოთეკა ხომ სულ პატარებსაც ემსახურება. რამდენი წვიღებს, ბევრი კითხვისაგან ფურცელდაღლილ



ნეტავ, ეს წიგნიც ხომ არ წამეღო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნს, რამდენი ეზიარება მისი საშუალებით სიკეთეს, შრომისმოყვარეობას, მეგობრობისა და სამშობლოს ერთგულების გრძნობას, რამდენი გაიფართოებს ცოდნის არეს. აირჩევს ცხოვრების გზას, დაადგენს გატაცების საგანს. დღეს ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, არცთუ სახარბიელო შენობაში მოთავსებული ეს ბიბლიოთეკა, ასე ვთქვათ, სათაოა თბილისის ცენტრალიზებული საბავშვო საბიბლიოთეკო სისტემაში და მაგალითის მიმცემიც გახლავთ სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის სამმართველოს დაქვემდებარებული ქალაქის ყველა დანარჩენი 17 საბავშვო ბიბლიოთეკისათვის. თავის დროზე საბავშვო ბიბლიოთეკების ამგვარი ცენტრალიზაცია მათი მუშაობის ყოველმხრივ გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად და უნდა ითქვას, რომ ამ ექსპერიმენტმა თავისი კეთილი შედეგი გამოიღო. საბავშვო ბიბლიოთეკებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობა და ეს არა მარტო მკითხველთა უშუალო მომსახურებას დაეტყო. სისტემის თანამშრომლები გამუდმებით ეძიებენ ბავშვებთან ურთიერთობის, მათი იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის ახალ ფორმებს, ცდილობენ გაამრავალფეროვნონ ღონისძიებები, მეტი აღმზრდელობითი დატვირთვა მისცენ მათ, ოღონდ ისე, რომ არც ერთი ეს ღონისძიება არამც და არამც არ იყოს მოსაწყენი, გამაღიზიანებლად დამრიგებლური.



ვნახოთ ერთი, რა წიგნის წაკითხვას გვირჩევს უფროსი ამხანაგი.

აბა, განა შეიძლებოდა უხალისოდ ჩაევლო უკვე ტრადიციულად ქცეულ ნორჩი მკითხველის საქალაქო დღეს, რომელიც ასეთი დევიზით ჩატარდა — „ლენინის საქმის ვართ ერთგულები!“ ეს ღონისძიება პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციებისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მინიჭების 60 წლისთავს მიეძღვნა. ბიბლიოთეკის ვესტიბულში გამოფენილი იყო ნორჩ მკითხველთა საუკეთესო ნახატები, ხელგარჯილობის ნიმუშები. მოეწყო კონკურსი-ვიქტორინა, რომელიც პიონერული ორგანიზაციისა და კომკავშირის ისტორიის საკითხებს მოიცავდა. იქვე ჩატარდა ნორჩ მხატვართა იმპროვიზებული კონკურსი „ჩვენთვის ცნობილი წიგნის გმირი“. რამდენნაირი სურვილი დაიტია „სურვილების სკივრმა“ მაშინ! „მინდა რომ ჩემმა კარგმა მასწავლებელმა სულ მე მასწავლოს მეათე კლასამდე“ — უნატრია მესამეკლასელ გოჩა ნემსაძეს; „მე მინდა გამოვიდეს ასეთი წიგნი: „პატარა მოთხრობები დიდ ამბებზე“ — ასეთი სურვილი მეექვსეკლასელ ეკა სურამელაშვილს გამოუთქვამს: „ჩემი ოცნებაა მქონდეს ბევრი წიგნი“ — ეს კი მეშვიდეკლასელ ლ. ფირიაშვილის სურვილია; მეშვიდეკლასელს, სოფიკო გაიშევას ბევრი ქართული საბავშვო წიგნის ქონა ჰქონია ფიქრად. ნორჩი მკითხველის დღის ზეიმზე მოწვეულები იყვნენ საბავშვო მწერლები, პოეტები, შრო-

მის მოწინავენი, სწავლის ფრიადოსნები, ვეტერანი პიონერები და კომკავშირელები. მათთვის ნორჩებმა მხატვრული თვითმოქმედების კონცერტი გამართეს, ბოლოს კი წლის საუკეთესო ნორჩი მკითხველებიც დაასახელეს. ესენი აღმოჩნდნენ: მანანა დვალიძე, იაგო ქავთარაძე, ირმა თორია, ლევან რუსიშვილი, ციური ეგრისელაშვილი და სხვ.

საერთოდ, ამგვარი ღონისძიება ეძღვნება წლის ყველაზე თვალსაჩინო ღირსშესანიშნავ მოვლენას. მაგალითად, შარშან ჩატარებული ნორჩი მკითხველის საქალაქო დღე გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი იყო მიძღვნილი. წლევანდელი ზეიმი კი მთლიანად დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავს მიეძღვნება. ამ დიდი თარიღისათვის მზადების ნიშნით წარიმართება სისტემის მთელი მუშაობაც, რომლის დევიზად არჩეულია „მათ სახელს ქვეყანა სანთლებად აინთებს“. ყველა ბიბლიოთეკაში გამოიყო თემატური თაროები — „დიდი სამამულო“, „გმირობაზე მოგვითხრობენ“, „სისხლით დაწერილი სახელები“. ასევე ყველა საბავშვო ბიბლიოთეკაში მოეწყო გამოფენები: „გამარჯვების მაისი“, „ქართველი მწერლები დიდ სამამულო ომში“, „არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული“, „დიადი გამარჯვების 40 წელი“. ნორჩი მკითხველებისათვის მოეწყობა ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები „ქართველები დიდ სამამულო ომში“, „ჭაბუკები დარჩნენ მარად“, „გმირი პიონერები“, „კომკავშირელები დიდ სამამულო ომში“, „ბრძოლა კავკასიისათვის“ და ა. შ. ბიბლიოთეკები ამზადებენ რამდენიმე ლიტერატურულ დილას — „ჩვენი გულები სამშობლოსათვის ძგერს“, „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“, „ჩვენ გავიმარჯვეთ“, „სამშობლოვ, გწამდეს ჩვენი“. ცენტრალური ბიბლიოთეკა იწვევს პატარებს დაუსწრებელ მოგზაურობაზე გმირ ქალაქებში. დიდი სამამულო ომის ისტორიის უკეთ შესწავლას ისახავს მიზნად ვიქტორინა-კონკურსი „ეს ყველას უნდა გვახსოვდეს“. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოეწყობა დილა „პიონერები დიდ სამამულო ომში“. უფროსკლასელთათვის ჩატარდება ა. ფადეევის რომანის „ახალგაზრდა გვარდიის“ საჯარო გარჩევა. გათვალისწინებულია უცნობი ჯარისკაცის საფლავის მონახულება გამარჯვების პარკში, ომში დაღუპულთა დიდების მემორიალის დათვალიერება დაბა წყნეთში. ნორჩი მკითხველები კარგა ხანია მუშაობენ გმირი ქალაქებისადმი მიძღვნილ ალბომებზე, ხოლო ნორჩი შემოქმედები გულდასმით ემზადებიან სამამულო ომის თემაზე ნაწარმოებების შესაქმნელად.

დირექტორის კაბინეტში სათუთად შენახული, გემოვნებით გაფორმებული ალბომები მოგვითხრობენ უკვე გაწეული მუშაობის შესახებ. აი, ნორჩი მწერლებისა და პოეტების შემოქმედების ამსახველი ალბომები „მერცხალი“. რამდენი სხივჩამდგარი სტრიქონი, რამდენი ნაფიქრალ-ნააზრევი დაუტევიათ ამ ფურცლებს. ცალკე აწყვია ხატოვნად გაფორმებული ზეპირი ჟურნალების ნომრები. ერთი მათგანი სახელოვანი კომკავშირისთვის მიუძღვნიათ ბავშვებს, მეორე — „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“ საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავისთვის, სხვა — უფროსკლასელებთან შეხვედრას ასახავს — „ისმინე, სწავლის მძებნელო“ — ასე ერქვა იმ საინტერესო შეხვედრას. გულთბილი სიტყვებით, საუკეთესო სურვილებით არის სავსე ალბომი, რომელსაც „ჩვენი სტუმრები“ აწერია. ირაკლი აბაშიძე, ანა კალანდაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, იაკობ აკიმი, ვლადიმერ პრიხოდკო, ნელი ოქროპირიძე, გივი ჭიჭინაძე, ნაზი კილასონია, მერი დავითაშვილი, ვინღა არ მოსულა ნორჩ მკითხველებთან სტუმრად, ვისღა არ მიუძღვნია მადლობა ბიბლიოთეკის თანამშრომლებისათვის, არ დაულოცია ნორჩებისათვის სამომავლო გზა, არ დაუმოძღვრია ისინი! სტუმარი არც მომავალში მოაკლდებათ ნორჩ მკითხველებს, ისევე როგორც ნორჩი მკითხველი არ მოაკლდება თაროებზე ჩამწკრივებულ წიგნებს, მაგიდებზე წყობისად დალაგებულ ჟურნალ-გაზეთებსა და საცნობარო ლიტერატურას. კვლავაც ბევრი გოგო-ბიჭი შემოაღებს ბიბლიოთეკის კარს, ბევრი დაიკმაყოფილებს ცოდნის წადილს, სამუდამოდ დაუმეგობრდება წიგნს, რომლის ფასი არაფერია ქვეყანაზე. საბავშვო ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომელი კი კვლავაც სიამოვნებით დაეხმარება მათ ამ მეგობრობის დამყარება-განმტკიცებაში.



...და კიდევ რამდენ სიამოვნებას მოუტანს წიგნი ამ ბიჭუნებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# «გამარჯობა, რევოლუციავ!»

მარგო თომაძე

დოკუმენტური მოთხრობა

*საქართველოს ახალგაზრდობის ლენინურმა კომკავშირმა ბევრ ახალგაზრდას გაუკაფა ცხოვრებაში გზა, მრავალი სახელოვანი ადამიანი აღუზარდა სამშობლოს. ამ დოკუმენტურ მოთხრობაში აღწერილია ერთი ეპიზოდი გენერალ-მაიორის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ალექსანდრე კოჭლავაშვილის ცხოვრებიდან.*

თბილისის გარეუბანში, როსტოვის ქუჩაზე, ზევით, სულ ზევით, პატარა, ცისფერი სახლის შუშაბანდის კარმა ოდნავ გაიჭრიალა, 14-15 წლის ბიჭი ფეხაკრეფით გამოვიდა სახლიდან, იქვე ღობეზე ჩამოკიდებული წიგნების ჩანთა ჩამოხსნა, მხარზე გადაიკიდა და ეზოდან გავიდა.

მარტის სუსხიანი დილა იყო. რძისფერი ნისლი ლეჩაქივით გადაფარებოდა ქალაქს. სხვა დროს ბიჭს უყვარდა, მზედაკრული ნისლი რომ აიშლებოდა, მაღლობიდან ქალაქის კონტურებს არკვევდა: — ეს მთაწმინდაა, ეს ნარიყალა, ესეც ბოტანიკური ბაღი... მაგრამ ახლა ამისთვის არ ეცალა, თავში სხვა ფიქრები უტრიალებდა. „დროებით უნდა შევწყვიტო სკოლაში სიარული, მუშაობა დავიწყო. მამას უჭირს, ისედაც ბევრნი ვართ, ახლა ის არაშენდელი ბიძაშვილიც მოგვემატა. უნდა ვისწავლოო. არა უშავს, მერე მაგრად ჩავუჯდები მეცადინეობას, საშუალოსაც დავამთავრებ და უმაღლესსაც", — ასე ფიქრობდა ბიჭი. ასე გადაწყვიტა თავისი მომავალი.

ათი საათი იქნებოდა, რუსთაველის გამზირზე რომ გავიდა. ოპერის თეატრის პირდაპირ, მოჩუქურთმებულ შენობაში შევიდა, იქ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი იყო მოთავსებული. კიბეები აირბინა და თავისუბნელ ამხანაგს მიაკითხა. ათი წუთიც არ გასულა, რომ ორივენი იქვე გვერდით, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საერთო განყოფილებაში შევიდნენ. თმაჭაღარა, შუახნის კაცი მაგიდასთან იჯდა და ქაღალდებს ჩასცქეროდა.

— აი, ჩემი ამხანაგი მოგიყვანეთ, თუ გამოგადგებათ!

უფროსი მათკენ შემობრუნდა, ბიჭი ძეათვალიერა და ჰკითხა:

— რა გქვია?

— საშა, — მკვირცხლად მიუგო ბიჭმა.

უფროსს თვალში მოუვიდა შავთვალა ყმაწვილი, მეორე მაგიდისაკენ გაიხედა. იქ თექვსმეტიოდე წლის ჭაბუკი იჯდა და მანქანაზე გადაბეჭდილ ქაღალდებს კონვერტში აწყობდა.

— სოსო, — მიმართა უფროსმა ჭაბუკს, — ეს ჩვენი ახალი თანამშრომელია, საშა ჰქვია, თქვენ ორივე ჩემი დავალებით იმუშავებთ, — უთხრა და ისევ მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებს ჩააცქერდა.

მაშინ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან ერთი თვეც არ იყო გასული. პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მომუშავე ახალგაზრდები თითქმის ყოველდღე იკრიბებოდნენ, კომკავშირის უჯრედის აგიტატორი კომკავშირის ამოცანებს აცნობდა, სხვადასხვა საინტერესო თემებზე ესაუბრებოდა მათ.

ერთხელ, მუშაობის დამთავრების შემდეგ შეკრებაზე რომ მიდიოდნენ, სოსომ მკლავზე ხელი მოჰკიდა და ხუმრობით უთხრა:

— საშა, გატყობ, ჩვენმა აგიტატორმა ძალიან დაგაინტერესა, შეკრებაზე ყოველთვის პირველი გარბიხარ. თუ კომკავშირში შესვლა გინდა, განცხადების დაწერაში დაგეხმარები.

საშას თანხმობა არ დაუყოვნებია და სოსოს კარნახით მაშინვე დაწერა განცხადება. მერე კომკავშირის უჯრედის მდივანთან წავიდნენ.

საკმაოდ პატარა და ხმაურიან ოთახში შევიდნენ. ძველ საწერ მაგიდასთან თავმოყრილი ახალგაზრდები რაღაცაზე ცხარედ დავობდნენ. შუაში უჯრედის მდივანი იჯდა. სოსო ლაფაჩიძემ მას საშას განცხადება გადასცა და საშაც გააცნო. მდივანი ფეხზე წამოდგა და ხელი გამოუწოდა ბიჭს.

— მაშ კომკავშირში შესვლა გსურს? ძალიან კარგი. მალე კრება გვექნება და იქ განვიხილავთ შენი მიღების საკითხს.

უჯრედის კრება 1921 წლის 2 აპრილს შედგა. საშა სოსოსთან ერთად წავიდა კრებაზე. დიდ ოთახში შევიდნენ, ბოლო რიგში დასხდნენ. დარბაზი სავსე იყო კომკავშირელებით. ჯგუფ-ჯგუფად იყვნენ შეკრებილნი. ზოგი ხმამაღლა საუბრობდა, ზოგი იმდროინდელ კომკავშირულ სიმღერას მღეროდა: „პუშკი, პუშკი გროხოტალი..."

უმეტესობას ტყავის ქურთუკები, მარცხენა მხარეს ჩახსნილ საყელოზე თეთრღილებჩაწკაპული ლურჯი ბლუზები და გალიფე ეცვა; წვივებზე ტოლაღები ჰქონდათ შემოხვეული, თავზე ბუდიონურები ეხურათ. იყვნენ ტყავის ქუდიანებიც. იქ მყოფთა უმრავლესობა სხვადასხვა სისტემის რევოლვერით იყო შეიარაღებული. მათ შორის ბევრი უკვე ბრძოლა გამოვლილი გვარდიელი, ეგრეთ წოდებული „იატაკქვეშელი" იყო. ისინი საყოველთაო პატივისცემით იყვნენ მოსილნი.

ერთი ჯგუფი რაღაც საბუთს ადგენდა. ამ ჯგუფში იყო საშას ნაცნობი ვალია მეტონიძე, რომელიც ამხანაგებს სთხოვდა, საბუთში ჩაეწერათ: „პირველ რიგში ჩაშლილი იქნას პროლეტარული ახალგაზრდობის ფრონტი"... ეს სიტყვები შემდეგში მას ხშირად ესმოდა კრებებზე, ხვდებოდა პრესაში, წიგნებში.

უცებ ყველამ კარისკენ გაიხედა. დარბაზში ტანმორ-

ჩილი ქალიშვილი შემოვიდა, ბუდიონურა მოიხადა, მაღლა ასწია და ასე მიესალმა ყველას. მას ყველა გულთბილად მიეგება. ქალიშვილი ერთ-ერთ ჯგუფს შეუერთდა, ტყავის ქურთუკის კალთები განზე გასწია და დოინჯი შემოიყარა. მასაც წელზე პატარა რევოლვერი ეკიდა. ეს ქალიშვილი თამარ გაბარაშვილი იყო, უჯრედის „ქალთა ბირთვის“ ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს კომკავშირის აქტიური მოღვაწე, ყოფილი „იატაკქვეშელი“.

მალე კიდევ ერთი გამხდარი, სათვალიანი ახალგაზრდა შემოვიდა. დარბაზი მყისვე მიყუჩდა. ახალმოსული ღიმილით მიესალმა ყველას და ნელი ნაბიჯით უჯრედის მდივანს მიუახლოვდა, რაღაც წასჩურჩულა, მაგიდიდან ქაღალდი აიღო, წაიკითხა, თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია და იქვე სკამზე მოწყვეტით დაჯდა. ეტყობოდა, დაღლილი იყო. მდივანმა მაჯის საათს დახედა, წამოდგა და დამსწრეთ ანიშნა, რომ შეიძლებოდა კრების დაწყება.

უჯრედის სხდომა განცხადებათა განხილვით დაიწყო. საშა ღელავდა, გული ძალუმად უძგერდა. პირველად განიხილეს მასთან ერთად მომუშავე ვასია მოსკალენკოს განცხადება. იგი ძველი რევოლუციონერის გიორგი ლაფანაშვილის ნათესავი, მუშის ოჯახიდან გამოსული იყო. ორიოდე შეკითხვის შემდეგ ვასია კომკავშირის წევრობის კანდიდატად მიიღეს.

საშას რიგიც მოვიდა. განცხადება წაიკითხეს. შემდეგ დაიწყო შეკითხვები. უმთავრესად სოციალურ წარმოშობასა და ოჯახის წევრთა საქმიანობაზე, მენშევიკების პარტიასა და გვარდიასთან მათ კავშირზე ეკითხებოდნენ. დარბაზიდან ხმა გაისმა: „ეყოფა შეკითხვები, მივიღოთ.“ თავმჯდომარე კენჭის საყრელად მოემზადა. სწორედ ამ დროს, მაგიდასთან მჯდომმა სათვალიანმა ახალგაზრდამ ღიმილით ჰკითხა:

— მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციაზე რაღას იტყვი?!

საშა წამოწითლდა, შემკითხველს გახედა. დარბაზი შეიშმუშნა. აქა-იქ სიცილიც გაისმა.

„ნამდვილად რაღაც უცნაურობაში შევტოპე“, — გაიფიქრა. სათვალიანმა შეატყო დაბნეულობა — ისევ ღიმილით მიმართა:

— თქვი, ნუ გრცხვენია. რას ფიქრობ მსოფლიო რევოლუციაზე? — მისმა გამამხნევებელმა ღიმილმა საშას ძალა შემატა, პასუხი სწრაფად მოისაზრა და ხმამაღლა განაცხადა: „მზად ვარ ვიბრძოლო“! დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. თავმჯდომარემ კენჭი უყარა და იგი ერთხმად მიიღეს კომკავშირის წევრობის კანდიდატად. ასე დაიწყო მისი ახალი ცხოვრების გზა. დიდად გახარებული იყო, მაგრამ დროდადრო მაინც გაუელვებდა: „რა მინდოდა, რომ მსოფლიო რევოლუციას წავეპოტინეო!“

უჯრედის კრება, როგორც წესი, „ინტერნაციონალის“ სიმღერით დამთავრდა. მღეროდა ყველა. რაღაც განსაკუთრებული მახვილით წარმოთქვამდნენ სიტყვებს: „ეს არის ჩვენი უკანასკნელი, გადამწყვეტი ბრძოლა“.

კრებიდან რომ გამოვიდნენ, სოსო ლაფაჩიძემ ჰკითხა: — საშა, იცი ვინ იყო ის, მსოფლიო რევოლუციაზე რომ შეგეკითხა?

საშამ მხრები აიჩეჩა, არ ვიციო.

— ეგ არის ბორის ძნელაძე, ძველი იატაკქვეშელი და ახლა კომკავშირის ცეკას მდივანი.

ცეკას მდივანი რომ ბორის ძნელაძე იყო, საშამ ეს იცოდა, ბევრი რამ მოესმინა და გაეგონა მის შესახებ, პირადად კი პირველად ნახა. ვერ წარმოედგინა, რომ სოციალისტური რევოლუციის ახალგაზრდა რაინდი ასეთი სუსტი აგებულების იქნებოდა.

კომკავშირში მიღებიდან რამდენიმე დღის შემდეგ საშა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში კიბეზე ადიოდა, რომ ბორის ძნელაძეს მოჰკრა თვალი. რაღას ვეხსომებიო, — გაიფიქრა და მიუსალმებლად გვერდის ავლა დააპირა. მაგრამ ბორისმა შორიდანვე შენიშნა იგი და ისევ ისეთივე წამახალისებელი ღიმილით უთხრა:

— „გამარჯობა, რევოლუციავ“, — თან ხელი მაგრად ჩამოართვა. ასეთი გულითადი მისალმება შემდეგშიაც დამკვიდრდა მათ შორის.

1923 წლის 5 ოქტომბერს საშა დღიურში წერს: „დღეს გარდაიცვალა ბორის ძნელაძე, სოციალისტური რევოლუციის ახალგაზრდა რაინდი. ალბათ ხშირად მომენატრება მასთან შეხვედრა, მისი გულითადი სალამი“.

საშას ძველი უბის წიგნაკში ვკითხულობთ: „კომკავშირში რომ მიმიღეს, იმ კრების მერე ხშირად ვფიქრობდი: საინტერესოა, ჩემმა რეკომენდატორმა სოსო ლაფაჩიძემ რატომ ჩამაწერინა განცხადებაში ასეთი მაღალფარდოვანი სიტყვები მსოფლიო რევოლუციის შესახებ. როგორც გამოირკვა, მასაც კომკავშირში შესვლისას, სხვისი კარნახით, ასეთივე შინაარსის განცხადება დაუწერია. მე განცხადებაში ვწერდი: „ვიზიარებ კომუნისტური პარტიის პროგრამას, მზად ვარ ვიბრძოლო მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისათვის და გთხოვთ მიმიღოთ კომკავშირში“. ასეთი შინაარსის განცხადება ახლაც არის დამკვიდრებული ჩვენს უჯრედში. ზოგიერთი გაიკვირვებს, რა საჭიროა ასეთი რამის ჩაწერა, რა ესაქმება თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ყმაწვილს მსოფლიო რევოლუციასთანო. კრების შემდეგ მეც ასე ვფიქრობდი: ამის დაწერა განცხადებაში ზედმეტია-მეთქი, მაგრამ, როდესაც გავეცანი ლენინის ცნობილ სიტყვას კომკავშირის ამოცანების შესახებ და პოლიტიკურად საკმაოდ გავთვითცნობიერდი, ამ ჩემს მცდარ აზრს სამუდამოდ გამოვეთხოვე. ახლა ჩემი ვალდებულებისა მეამაყება კიდეც. და თუ რომელიმე კაპიტალისტურ ქვეყანაში რევოლუცია იფეთქებს, ჩაგრული ხალხი თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის დაიწყებს ბრძოლას, მზად ვარ მეგობრული ხელი გავუწოდო და მეც მათთან ერთად ვიბრძოლო. ამ განწყობას ყოველთვის თან ახლავს ბორის ძნელაძის გამამხნევებელი და წამახალისებელი ღიმილი, რომელიც იმ კრების მერე სამუდამოდ ჩამრჩა გულში“.

წუთისოფელი, მართლაც რომ წუთის სოფელია, თაობა მიდის. თაობა მოდის. რჩება მათი შრომითი სიმამაცე, გმირული სული, უტეხი რწმენის და კაცთმოყვარე გულის ნათელი კვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა, როდესაც მაზე ვფიქრობ, ათასი რამ მშვენიერი და გასახსენებელი მიტრიალებს თავში. საქმე ისაა, რომელ დროს მივცე უპირატესობა, რითი დავიწყო, რომელი ერთი ამოვწიო აბრეშუმის ძაფივით. „აბრეშუმი“ მეთქი, ვთქვი და ბარემ აბრეშუმით დავიწყებ. პირველად რომ ვიხილე ქალბატონი მაყვალა მრევლიშვილი, სწორედ ლექსი „აბრეშუმი“ წაგვიკითხა. რაღაცნაირად, მეც იმ დღეს მაღიარა სკოლამ საკუთარ „ნორჩ პოეტად“.

მწერალ ანა ხახუტაშვილს (ცქვიტს) მოვუწყეთ შეხვედრა, სკო-



# მოჯადოებული

ლაში მივიწვიეთ და საგანგებოდ ამ დღისთვის დამაწერინა ლექსი ჩემმა პედაგოგმა, სახელგანთქმულმა ბაბო მჭედლიძემ: „ვით პირველი გაზაფხულის მოფრენილი ლაღი ჩიტი, ჩვენ გვესტუმრა აქ, სკოლაში, დღეს მწერალი ქალი ცქვიტი...“

მწერალმა ქალმა კოცნით დამაჯილდოვა, მერე სცენიდან წაგვიკითხა პატარა მოთხრობები, გვიამბო თავის ცხოვრებაზე, წიგნებზე, მოთხრობებზე... რა თქმა უნდა, მოსწავლეებმაც უჩვენეს სტუმარს თავისი შემოქმედება. იმღერეს, იცეკვეს.

ანა ხახუტაშვილს ახალგაზრდა ქალიც ახლდა, თვალმაყვალა, შავკაბიანი მაყვალა მრევლიშვილი. მერედა, სახელიც როგორ უხდებოდა გიშრისთვალას... ლექსი წაგვიკითხა აბრეშუმზე. თითქოს შარიშურით აივსო პატარა დარბაზი.

**ელვარდა აბრეშუმი —**
**საკაბე და სამანდილე,**
**ქობას ირთავს სხივთა შუბით,**
**გადაიბნევს ფერად ღილებს.**
**აშრიალდა აბრეშუმი,**
**ჩაიკეცა ჟრუოლით ნაზმა,**
**გულს უჩქროლავს ნდობა ჩუმი, —**
**ჩემს სამშობლოს მოსაკაზმად.**

რომელი წელი იყო ნეტავ? არ მახსოვს. ეს კია, რომ იმ დღეს მაყვალა მრევლიშვილის ლექსის შრიალმა რაღაც მშვენიერებას გადასწია ფარდა ჩემში. ნამდვილი პოეზიის ძალა მაგრძნობინა პატარას, მშვენიერი ლირიკის ხმიანობა მასმინა...

მერე მისი პატარა, პირველი წიგნიც შევიძინე. ჯავახიშვილის ქუჩის აღმართი კითხვით ავიარე, გაოგნებული ვიყავ, თურმე რა შესძლებია ლექსს! ვკითხულობდი კი არა, — ვხედავდი მოქნილ ტირიფებს, გაზაფხულის თვალის გახელას, თხილამურის სრბოლას, მაისის აყვავებულ უბეს, აპრილის ფიფქებს. მაყვალა მრევლიშვილი! მაყვალა მრევლიშვილი! — რეკავდა გული. და ის კი არ ვიცოდი, რომ სწორედ იმ აღმართით მივდიოდი, სადაც თვითონ პოეტი ცხოვრობდა. იცით, რატომ გიამბობთ ამაზე? იმიტომ რომ, დიდი სურვილი მაქვს თქვენც გაეცნოთ ამ ლექსებს. გახსოვდეთ, რომ პოეტი მაყვალა მრევლიშვილი სანამ საკუთრად თქვენთვის დაწერდა ლექსებს, მანამდეც და ახლაც შესანიშნავი ლექსების შემოქმედია — აი, თქვენ რომ „სადიდოს“ უწოდებთ. მოიკითხეთ ბიბლიოთეკებში და გაეცანით ამ შემოქმედებას: უნაზეს პოეტურ ჩანახატებსა და ამასთან ერთად ვაჟკაცურ შემართებას.

**გადი, გამოდი, მიდამო ნახე,**
**მოჰყე სანთლებად ანთებულ ხოხნებს,**
**მიუხვდი ხვართქლას, ბალახზე ნახვევს,**
**ეშხით რა ჰგრეხს და ვინ ახხივოხნებს!**

ჩემო პატარა მეგობარო, არა მკითხო, „ხვართქლა“ რა არისო, გული დამწყდება. ისე როგორ გაეჩვიე სეზონურ აგარაკებზე, რომ სოფელი არ იცი. მაყვალა მრევლიშვილის ლექსებს სწორედ სოფელი აძლევს თითქოს მთავარ ძარღვს.

მოდით და, ბარემ იმაზეც გიამბობთ, სადა ძევს ამ ძარღვის მადანი. არც მეტი, არც ნაკლები და — ჩვენს დიდებულ მცხეთაში! უძველესს, ულამაზესს და უსაყვარლესს მცხეთაში! დიდებული სვეტიცხოვლის ტაძართან ახლოს. მცხეთაში მირონი დუღსო, — ასე სწამდა ჩვენს წინაპარს; აბა როგორ არ იწამებდა საოცარი ხუროთმოძღვრული ძეგლის შემხედვარე. როგორ არ მოიხიბლებოდა მტკვრისა და არაგვის შესართავთან ნახევარკუნძულად ამოჭრილი მცხეთის შემხედვარე! როგორ არ დაზრიდა თავს ლეგენდარული არსენა ოძელაშვილის საფლავის წინ! როგორ არ ახედავდა კრძალვით ხეობის ჩამკეტავ უმაღლეს ქედებს! „კარი მიუმცხეთურეო“ — ქართველი კაცი რომ იტყოდა, ეს იმას ნიშნავდა კარგად ჩაკეტეო. და უძველესს დედაქალაქს — მცხეთასაც საგულდაგულოდ შეეძლო გამაგრება. ჩემთვის მცხეთას ის სილამაზეც გააჩნია, რომ ყვავილების კეთილი ჯადოქარი, მიხეილ მამულაშვილი აქა ცხოვრობდა. აქედან გზავნიდა თბილისს, ანდა პირიქით, თბილისი ამოდიოდა მასთან ყვავილთა სახილველად. კიდევ ის ხიბლიცა აქვს მცხეთას, რომ დიდი ქართველი მხატვარი, პოეტი ქალის მამა, ალექსანდრე მრევლიშვილი აქ დაიბადა და გაიზარდა. ამ გახსენებაზე, ბარემ იმასაც გირჩევთ, აუცილებლად წადით საქართველოს ხე-



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 2

## ამ სენს უნდა ვებრძოლოთ

საუბედუროდ, ასეთი სენი როგორიც გურამს სჭირს, ბევრ ოჯახშია გაბატონებული. ამ სენის თავიდან ასაშორებლად საჭიროა ადრიანად ზრუნვა. მშობლებმა შვილები არ უნდა გაანებივრონ, პატარაობიდანვე უნდა ასწავლონ შრომის ყადრი. გამიგონია ერთი ქართული ანდაზა: „შვილი გაზარდე მტრულადა, გამოგადგება მოყვრულადა“-ო. ეს ანდაზა ყველამ უნდა იცოდეს. სკოლის ასაკში მოსწავლეს არ სჭირდება ულტრამოდური ტანსაცმელი. მოსწავლე იმიტომ გვქვია, რომ მოსწავლის შესაფერისად უნდა ვიცვამდეთ და მოსწავლის შესაფერისი ჩვევები უნდა გვქონდეს. გურამისა და გოჩას საქციელი დასაგმობია, ამას, ალბათ ყველა ნამდვილი მოსწავლე მიხვდება. სამწუხაროდ, მარტო გურამსა და გოჩას არ ახასიათებს ეს სენი. გოჩასა და გურამის როლში ბევრ ჩემს თანატოლს ვხედავ და გული მწყდება, რომ ისინი მშობლებისა და წინაპრების ამაგს არაფრად აგდებენ.

მე ვთხოვ ასეთ ბიჭებსა და გოგონებს, ნაკლები ყურადღება მიაქციონ ჩაცმა-დახურვას, ხელში აიღონ წიგნი, მეტი პატივისცემა და გულისხმიერება გამოიჩინონ უფროსებისადმი.

**ნინო სახელაშვილი,**
**თერჯოლა, ზემო ალისუბნის საშუალო სკოლა, VIII კლასი.**

## მე უფროსებს ვადანაშაულებ

მე თქვენი ჟურნალის მკითხველი ვარ და დიდი ინტერესით ვკითხულობ მისი ნებისმიერი ნომრის ყველა გვერდს, მაგრამ ყურადღებას განსაკუთრებით ვამახვილებ დისკუსიებზე. წავიკითხე ახალი დისკუსია „შენ და ოჯახი“, რომელშიაც გოჩასა და გურამის საქციელზეა მსჯელობა. ჩემის აზრით, გოჩასა და გურამის ასე გათამამება მშობლების ბრალია. გურამს ისე დიდ დამნაშავედ არ ვთვლი, როგორც გოჩას. აბა, როგორ მოიქცეოდა ბავშვი, თუ თავისი ამხანაგები გამოპრანჭულები დადიან სკოლაში და თუ თვითონ მოსწავლის ფორმით დაიარება, ძალაუნებურად სული წასძლევდა, მოითხოვდა, აბა რას იზამდა? ამ მხრივ მე მასწავლებლებსაც ვადანაშაულებ. თუ მასწავლებლები არ მისცემენ მოსწავლეებს სასკოლო ფორმის გარდა სხვა ტანსაცმლისა თუ ფეხსაცმლის ჩაცმის ნებას, მაშინ ბავშვები ასე არ გათამამდებიან და ამდენს არ მოითხოვენ. რა საჭიროა მოსწავლე 150 მან. „ბოტასებით“ სკოლაში დადიოდეს, მე პირადად ის მიმაჩნია ძვირფასად და ღირებულად, რაც მე მიხდება.

**ნონა ხორავა,**
**ჩხოროწყუს რ-ნი,**
**სოფ. ლესიჭინე.**

## დავუფასოთ მშობლებს ამაგი

კვირაში ერთხელ კლასის საათზე კლასის დამრიგებლის ხელმძღვანელობით ვიხილავთ ჩვენთვის საინტერესო საკითხებს, ვკამათობთ, ვმსჯელობთ და გამოგვაქვს სათანადო დასკვნები.

ამჯერად „პიონერის“ მერვე ნომერში დაბეჭდილი სტატია „შენ და ოჯახი“ იყო ჩვენი საუბრის საგანი.

ჩვენ მეოთხეკლასელები ვართ. ალბათ, იტყვით, თქვენ რისი თქმა შეგიძლიათ, ჯერ პატარები ხართო, მაგრამ, როგორც მსჯელობისას გაირკვა, არცთუ ისე ცუდად გვცოდნია უფროსებისა და მათი შრომის დაფასება.

ჩვენ ვკიცხავთ გურამსა და გოჩას და ვურჩევთ, ულტრამოდური ტანსაცმლის ნაცვლად ატარონ მოსწავლის შესაფერისი ჩაცმულობა, დააფასონ უფროსების შრომა, ამოუდ-

---

ლოვნების მუზეუმში და დაათვალიერეთ ალექსანდრე მრევლიშვილის ნახატები. მჯერა, კმაყოფილები, ძალიან კმაყოფილები დარჩებით. ახლა კი თქვენი საყვარელი მაყვალა მრევლიშვილის სახლში წამომყევით. თქვენზე მზრუნველის, თქვენი მოჭირნახულე ქალბატონ მაყვალას სახლში. მით უმეტეს, რომ მისი შუშაბანდის ღია სარკმლიდან მთელ თბილისს დაიდებთ ხელისგულზე. დაბლა კი, ეზოში ბებერი ტყემლის ხე დგას. გაზაფხულობით თეთრი თაიგულივით რომ ბრიალებს. „ატმის ხე იდგა თაიგულივითო“ — ამბობს ერთ ლექსში დიდი გალაკტიონი.

**გალაღდებიან, სურნელს აფრქვევენ,**
**ფიფქის ქოლგები გადაშხურიათ,**
**ვარდის, თოვლისდარ ყვავილთ**
**სარქველით**
**თვითეულ ტოტზე გაზაფხულია.**

ვინ იცის, ეს სტრიქონებიც იმ აყვავებულმა ხემ შთააგონა მაყვალა მრევლიშვილს. მცხეთამ კი მთელი რკალი ლექსებისა გაუცისკროვნა.

სახლში მაყვალა მრევლიშვილი დიდებული დიასახლისია, თავს გადაგაკლავთ და აუცილებლად გაგემებთ რასმეს, ნამდვილ ქართლურად შეზავებულ-შემზადებულს. კედელყურეც კი გაგრძნობინებთ, რომ დიასახლისი ქართლელია: იმ მხრის სუვენირებითაა დამშვენებული. მთავარი სათქმელი კი ახლა უნდა მოგახსენოთ: მაყვალა მრევლიშვილს ორი ქალიშვილი ჰყავს — ტყუპები, ქეთევანი და ალდე. ორივენი დედის დამფასებელნი და დიდი მოყვარულნი.

გნენ მხარში საოჯახო საქმეების კეთებაში. ჩვენ სისტემატურად ვეხმარებით უფროსებს შრომაში, ვმუშაობთ ჩაის პლანტაციებში, ვკრეფთ ჩაის მწვანე ფოთოლს, ყანებში ვტეხთ სიმინდს, ვკრეფთ ლობიოს. ზაფხულის არდადეგებზე გამომუშავებული საკუთარი თანხით ვიძენთ მოსწავლის ფორმას, სასწავლო ნივთებს. საკუთარი ნაშრომით ვიწერთ ჟურნალ-გაზეთებს და ამით სულაც არ ვყოყოჩობთ.

ჩვენ ვიცით, რომ სკოლაში უნდა ვიაროთ მხოლოდ ისე, როგორც მოსწავლეს შეეფერება და ამაზე ჩხუბი მოსწავლეებს არ სჭირდებათ. არც მშობლებთან გვჩვევია ისეთი ტონით საუბარი, როგორც გურამს სცოდნია.

**ზუგდიდის რაიონის რუხის საშუალო სკოლის IV კლასის პიონერები.**

## დაუფიქრდით თქვენს საქციელს

გოჩას და გურამის ამბავს რომ ვკითხულობდი, გამახსენდა ილიას სიტყვები იმის შესახებ, რომ მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო იქნება, თუ იმათი ცხოვრებიდან ჩვენ სასარგებლოს არას გამოვიტანთ. განა ცოტაა გამოსატანი ჩვენი მშობლების, მამა-პაპათა ცხოვრებიდან? მათი თავდადებული ბრძოლა და შრომა ხალხის თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის, მართლაც ფასდაუდებელია. მაშ, რატომ ივიწყებს ამას ზოგიერთი მოზარდი და ახალგაზრდა?! რატომ აძლევს თავს უფლებას აბუჩად აიგდოს მათი დიდი ღვაწლი?!

მინდა ვურჩიო გოჩას, გურამს და ყველა მათნაირ ახალგაზრდას, დაუფიქრდნენ საკუთარ საქციელს, ცხოვრების წესს, საღი თვალით შეხედონ დღევანდელობას, ფეხი აუწყონ ჩვენი ქვეყნის გიგანტურ ნაბიჯებს და ერთხელ და სამუდამოდ იწამონ — ადამიანს პირველ რიგში თავმდაბლობა, უფროსების პატივისცემა ამშვენებს. არავის არა აქვს უფლება უდიერად მოეპყრას უფროსებს, მშობლებს.

**ლალი ცქიტიშვილი,**
**დაბა ლენინგორი, ბახუანის საშუალო სკოლა, X კლასი.**

## თვითონ უკეთ იციან

მე ძალიან მეწყინა გოჩას და გურამის საქციელი. ისინი ყოყოჩები, ამპარტავნები არიან, არაფრად აგდებენ მშობლების შრომას, აბუჩად იგდებენ წინაპართა ღვაწლს.

რა არის ამის მიზეზი?

არა მარტო გოჩასა და გურამს, არამედ მათ მშობლებსაც ვადანაშაულებ, იმიტომ რომ თავიდანვე ათამამებდნენ, ყოველ სურვილს უსრულებდნენ. მე მყავს ორი ტყუპი ძმა. დედაჩემი ყოველთვის გვიხსნის მე და ჩემს ძმებს, რამდენი აილო მამამ ხელფასი, რამდენი დახარჯა კვებაზე, რამდენი — სხვადასხვა დანიშნულებით. და ჩვენ არასოდეს ვთხოვთ ხოლმე მშობლებს ზედმეტ რამეს. განა მათ უკეთ არ იციან, რა არის აუცილებელი ჩვენთვის?

**მაია მაჭარაშვილი,**
**რუსთავის მე-14 საშუალო სკოლა, V კლასი.**

## ვ აქტივსცემული რედაქციამ!

კლასის ხელმძღვანელთან ერთად წავიკითხეთ და ვიმსჯელეთ სადისკუსიო წერილზე „შენ და ოჯახი“.

ჩვენი აზრით, ყველაზე მეტად დამნაშავენი არიან გოჩას მშობლები — ისინი, ჩანს, თავიდანვე ზედმეტად ანებივრებდნენ შვილს და მისი ყოყოჩობაც და სიკეთის დაუნახაობაც ამის შედეგია.

ჩვენს კლასში მოსწავლეთა უმრავლესობა მრავალშვილიანი ოჯახიდანაა, ასეთ ოჯახში აღზრდილი ბავშვი კი არ შეიძლება იყოს ყოყოჩა და ზედმეტად მომთხოვნი, რადგან იგი თვითონ მონაწილეობს საოჯახო შრომაში.

**მეხუთეკლასელი პიონერები.**
**ზესტაფონი, ქვედა საზანოს 1-ლი საშუალო სკოლა.**

**ვიმღერებ და ორი ბალღი**
**ამაყოლებს ღიღინს,**
**ქალობა რომ დამიმშვენა,**
**ეს დღე ქვეყნად მიღირს!**

ალდე კაკაბაძე ცნობილი კერამიკოსია, ქეთევანი კი ნიადაგ დედას დასტრიალებს თავს. დედა მათთვის მხოლოდ დედა კი არა, — მათთვის საყვარელი ლექსების ავტორიცაა. ისინიც თქვენსავით აკვნიდანვე გაზარდა მაყვალას ძვირფასმა ლექსებმა. ზოგ-ზოგი ლექსიც ალბათ მათმა ბავშვობამ შთააგონა, მათმა ანცობამ, მათმა ცელქობამ და, რაც მთავარია, მათმა სიყვარულმა. მაყვალა მრევლიშვილს ჩვენი ბავშვებისათვის გაწეული ამაგი უნდა დავუფასოთ, მან რომ „დილა მშვიდობისა“ გისურვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი ცხოვრება მშვიდობიანად გაატაროთ, ურთიერთ სიყვარულსა და დაფასებაში. იცოდეთ ამაგდარების პატივისცემა, ტოლებისადმი მხარის დაჭერა, იყვნეთ სამართლიანები, გიყვარდეთ შრომა, გიყვარდეთ წიგნი. იმ მარგალიტივით ასხმულ ლექსებთან ერთად, მან სხვა დიდი საჩუქარიც მოგართვათ: ფრანგულიდან თარგმნა შარლ კოსტერის „ულენშპიგელი“ და თქვენი წიგნის თარო ამ საუკეთესო ნობათით დაამშვენა!

მინდოდა კიდევ წვრილად ჩავკითხოდი: რას უსურვებს თქვენი გამზრდელი და მოჭირნახულე ჩვენს ახალგაზრდობას. ვიცოდი და მაინც უნდა მეკითხა. რას?

უპირველესს:—

პატიოსნებას. ოდითგან, რომ მოსდგამდა ჩვენს ერს, ჩვენს სათაყვანო წინაპრებს.

**ნაზი კილასონია**



# ქარიშხალი

**ალექსანდრე სერაფიმოვიჩი**

მოთხრობა

მხატვარი ირინა ბარანოვა

1

— ვაი!.. ვაი!.. — გაისმოდა ზღვის თვალისმომჭრელად მოსარკულ ზედაპირზე ანდრეიკას განწირული ყვირილი. ბიჭი ტკივილისაგან იკლაკნებოდა, — ბაბუ, არ ვიზამ მეტს!..

ხშირ, გაბურძგნულ, ჭირხლშერეულწარბებიანი და ღაწვებდანაოჭებული, მზით, ქარითა და მლაშე წყლით თითქოს სახემოთრიმლული ჯმუხი პაპა ცალი ხელით ქეჩოში ჩაფრენოდა ყმაწვილს, ხოლო მეორეთი უმოწყალოდ სცემდა გაფისული თოკით. გული რომ იჯერა, ბიჭს უბიძგა და ნავის ფსკერს დაანარცხა.

ზლუქუნით წამოდგა ანდრეიკა, ქიმს გადაეყუდა და იწყო ბადის ამოთრევა თანდათანობით.

გარშემო ზღვა ციალებდა. მის გლუვ ზედაპირზე ძლივსშესამჩნევი გამჭვირვალე ჭავლები ლივლივებდა.

თაკარა ცხრათვალა მზის გაუსაძლისი ბრწყინვა თვალს აჭუტვინებდა ადამიანს. კუპრის გამონაჟონით ჩაშავებული ნავის გვერდები, ანძის ჯვარედინად დაჭიმული თოკები, ჩამოჯენჯილი, გაზინზნული იალქანი მკაფიოდ იკვეთებოდა გავარვარებულ, უძრავ ჰაერში.

ნავიდან ნაპირი არ ჩანდა.

მოჭმუხნილი, ბრაზმორეული ანდრეიკა ბადეს ეწეოდა და მოყოლილ თევზს სათითაოდ ბღუჯავდა მაგრად, რომ ხელიდან არ გასხლტომოდა, მანამ ნავში მოისროდა...

ნაშუაღამევის ორ საათზე, ვიდრე ვარსკვლავები გაბაცდებოდნენ ცაზე, პაპა და ანდრეიკა უკვე შორდებოდნენ ნაპირს. ალიონის მსუბუქი ნიავი ნება-ნება მოაცურებდა ნავს. როცა ირიჟრაჟებდა და ვარდისფერი ზოლებით დაისერებოდა ზეცა და წყალი, უკიდეგანოდ გადაშლილ ზღვის სივრცეზე ის ნიავიც წყდებოდა და საჭირო ხდებოდა ნიჩბების მოსმა. პაპა და ანდრეიკა ამ დროს ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ხოლმე.

ახლაც უთენია, განთიადის ბინდბუნდში გავიდნენ ზღვაში. თავდაპირველად იოლად და ნებივრად გრძნობდა თავს ანდრეიკა, მაგრამ თანდათან მოიქანცა; ბოლოს, როცა უკან გადაისრებოდა და ხოფებს მხაპუნით ჩაუშვებდა გამჭვირვალე ვარდისფრად ათინათებულ წყალში, ბიჭს ეჩვენებოდა, რომ უკვე ველარ შეძლებდა გამართვას, იმდენად ტეხდა წელი და ხელები. და მაინც ისევ და ისევ ატრიალებდა ნიჩბებს. ნავი კი კუსავით ძლივს მიიწევდა წინ.

ბოლოს პაპამ, ყუჩად რომ იჯდა კიჩოზე, გადასძახა:

— გეყოფა, ანდრეიკა!

გახარებული ბიჭი ხალისით მოწყდა ადგილს და აქანავებული ნავის ბოლოს მიაშურა. პაპა ნიჩბებს მიუჯდა და მდუმარედ, მაგრამ ბეჯითად მოუსვა. ანდრეიკა კი საჭეს მართავდა და ჩასცქეროდა ნავის ქვეშ მიმდინარე წყლის ჩქერებს, ხანაც უყურებდა, თუ როგორ წყობიერად და ღონივრად იზნიქებოდა პაპა ნიჩბების მოსმისას. ერთი სიტყვით, ბიჭი შვებით ეძლეოდა შესვენების სიამეს.

ამასობაში მზეც ამოიწვერა გაღმიდან და გაანათა ზღვის სწორი და წყნარი ზედაპირი.

იწყებოდა უქარო, ცხელი დღე.

მალე გამოჩნდა წყალზე მოტივტივე სათხევლის ლივლივები, მათზე მიმაგრებული პატარ-პატარა სანიშნო ალმებით. მიუახლოვდნენ ერთ-ერთ მათგანს და თოკით ამოსწიეს ბადის ერთი ყური, მერე ერთიანი მიწოლით გააცურეს ნავი ბადის გასწვრივ, რომელიც გაჭიმულიყო წყალქვეშ რამდენიმე ათეულ საჟენზე.

ანდრეიკა, ნავის კიდეს გადაყუდებული, ხალისით ჩაშტერებოდა გამჭვირვალე სიღრმეს, საიდანაც დროგამოშვებით გამოკრთოდა თეთრი რამ საგანი, რომელიც ნელ-ნელა არწევდა ბადეს, ზევით რომ ამოჰქონდათ. ეს იყო მოფართხალე, ბადის ვიწრო თვალში ლაყუჩებით გაჩხერილი მოზრდილი თევზი.

ანდრეიკა უმალ თითებს შეჰყოფდა თევზის ნაზ, ვარდისფერ ლაყუჩებში, მერე ახლიდა ნავის ძირს, სადაც ცოტაოდენი წყალი შეეგუბებინათ. ტკივილით გაგიჟებული თევზი აქეთ-იქით აწყდებოდა, ვერ გაეგო, რა ყოფაში ჩავარდა, და ცდილობდა თავი დაეძვრინა ტყვეობისაგან; და-

სისხლიანებულ, გაგლეჯილ ლაყუჩებს მალიმალ და მძიმედ ბერავდა და ბოლოს სულს ღაფავდა.

მზე კი სულ მაღლა-მაღლა იწევდა. ალმოდებულ მოთენთილ ზღვაზე უძრავი, შემხუთველი პაპანება ჩამოდგა. მოწყენილობისა და ერთფეროვანი საქმიანობისაგან გასავათებული ანდრეიკა ჩუმად ემასლაათებოდა ბადიდან ამოყრილ თევზებს.

— შე ქაშაყო-ბოლოგრძელავ, მოიცა, დაგამარილონ ლაზათიანად, მაშინ კი დაგავიწყდება ხტუნაობა! დამიხედეთ ერთი ამას, კიდევაც რომ იტლინკება! აბა, გასწი ნავში!.. შენც კარგი მყავხარ, კობრო, მუცელგაბერილო! რამოდენა ლიპი გაგიშვია! ამო, ჰო, ამო, რას იჭაჭები, თუ იცი! გატიკნულხარ კი ზორბად და ველარ გამომძვრალხარ! გამოდი ერთი! ჯიუტობა არ გაგივა, შე ეშმაკის კერძო!..

ამ სიტყვებთან ერთად ანდრეიკა დასწვდა და ორივე ხელით ძლივს ასწია ზორბა თევზი.

— შეხე, ბაბუ, რა ფაშვიანია!

მაგრამ პაპამ ხმის გაღებაც ვერ მოასწრო, რომ წამით ჰაერზე მოხვედრილმა კობრმა ანაზდად ერთხელ კიდევ ძალუმად გაიბრძოლა, ბიჭს ხელიდან გაუსხლტა და შიგ წყალში მიადინა ტყლაშანი. უკანასკნელ წამს ბოლოც გააელვა — თითქოს გამოსალმების ნიშნად.

აი, სწორედ მაშინ გაისმა ზღვაზე ბიჭის სასოწარკვეთილი ბღავილი: პაპა უსიტყვოდ წამოდგა, აიღო ხელში გაფისული თოკი, სამად დაკეცა და მწარედ უცხუნა და უცხუნა ბიჭს.

2

ობოლია ანდრეიკა, უდედმამო. რაც თავი ახსოვს, ცხოვრობს პაპა აგაფონის თეთრ ქოხში, რომლის გვერდით გაბარჯღული ტირიფის ხე დგას. ქოხის ერთ მხარეს თეთრი ქვიშით დაფარული სანაპიროა გადაშლილი, მეორე მხარეს კი უტყეო, გადახრუკული, გამხმარი ჟალტამითა და აბზინდით დაფარული ტრამალია, ღარტაფებითა და ხევხუვებით დასერილი.

ამ ქოხში ბინადრობდა პაპა აგაფონი თავისი ჯალაბით — ცოლითა და ხუთი შვილით. თორმეტი წლის წინათ ხუნაგის ეპიდემიამ ერთ კვირაში მთლიანად ამოუწყვიტა ბავშვები...

ერთხელ, ზამთარში, აგაფონი დაფიქრებული და დაღვრემილი იჯდა შინ და ბადეს კემსავდა. მისი ცოლიც ღუმელთან ჯახირობდა. ღამეული ქარბუქი აწყდებოდა ქოხს. კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. აგაფონმა გაუღო. ზღურბლთან ფერწასული ქალი იდგა, ძველმანები ფიფქით ჰქონდა დაფარული. სიცივისაგან მოჭუჭკულ სახეზე მკვდრის ფერი დასდებოდა. მკერდზე ძონძებში გახვეული ციცქნა ჩვილი მიეკრა. გალურჯებულ ბავშვს ტირილის ღონეც მიხდოდა. გათოშილი ტუჩებითა და ენის ბორძიკით ქალმა თავშესაფარი ითხოვა. მოხუცებმა მიიღეს და პურიც აჭამეს. ბალღმა, ცოტა ჩათბუნდა თუ არა, ტირილი მორთო და იქაურობა გააყრუა. აგაფონის ცოლი თავზე ადგა თოთოს და თავადაც იცრემლებოდა — შვილები მოაგონდა. სველ თვალებს წინსაფრით იმშრალებდა.

უცხო ქალმა თქვა, ორიოლის გუბერნიიდან ყუბანს მივდივარო, ნახევარი წელია, რაც იქ სამუშაოდ წავიდა ჩემი ქმარი, თავისას არაფერს მატყობინებს და იმას დავეძებო...

ღამით ქალს სიცხე მისცა. ბორგავდა, დროდადრო წამოიკივლებდა ხოლმე. მეორე დღეს, საღამოთი, გარდაიცვალა უბედური. აგაფონმა და მისმა ცოლმა ობოლი ბავშვი იშვილეს.

ანდრეიკას ბუნდოვნად ახსოვს მოსიყვარულე მოხუცი დედაკაცი, თავისი დედობილი, რომელიც აჭმევდა, ასმევდა, ბანდა და შუა ქოხში ჭერზე დაკიდულ აკვანს ურწევდა. აგონდებოდა კიდევ ერთი რამ. ის იყო, ოთხი წლისა შესრულდა. მოვიდნენ ვიღაცები, აიღეს მისი დედობილი, ლოგინში რომ იწვა გაუნძრევლად, ჯერ ხატებქვეშ დაასვენეს მაგიდაზე, სანთლებიც დაუნთეს და მერე სადღაც წაიღეს. ჰოდა, აგაფონის ამარა დარჩა ანდრეიკა. კიდევ ისიც ახსოვდა, როგორ დაჰყავდა პაპას ნაპირიდან სამი ვერსის მოშორებით ხევში მდებარე სოფელში, თვითონ საქმეზე მიდიოდა, ბიჭს კი თავის ნათლიდედასთან, ბებია სპირიდონიხასთან ტოვებდა ხოლმე.

ექვსი წლიდან კი ანდრეიკა უკვე თან დაჰყავდა პაპას სათევზაოდ; ხშირად ჩასძინებია ნავის ცხვირზე პაპის მიერ დაფენილ ჩალაზე. იწვა ბიჭი და მის თავზემოთ დაჰქროდნენ თოლიები; ანათებდა მზე და ჰაერში იფანტებოდა წყლის წინწკლები.

შვიდი წლისა ბიჭი უკვე ყველაფერში გამოსადეგი გახდა. დილაბნელზე სამი საათისათვის უკვე ფეხზე იდგა. ფიცხლად შეისხურებდა პირზე ცივ წყალს და პერანგის კალთით შეიმშრალებდა. მერე შემოიტანდა წივას, გააჩაღებდა ღუმელს, გაქილავდა და გაწმენდდა თევზს და დათლილ კარტოფილთან ერთად ხარშავდა წვნიანს. პაპა აგაფონი სხვა რამეებსაც ავალებდა ანდრეიკას: საჭისა და იალქნის მართვას, ბადის ბლანდვასა და კემსვას, მის წყალში ჩაშვებას თუ ამოწევას, ანკესიდან თევზის მოხსნას და ასე შემდეგ. ყველაფერს პაპასნაირად აკეთებდა ანდრეიკაც, თუმცა ილაჯი უწყდებოდა მძიმე სამუშაოსაგან. უმცირესი მარცხის, შეცდომისა თუ დაუდევრობისათვის პაპა სასტიკად სჯიდა ბიჭს. საკმაო იყო საჭე არასწორად მოემართნა ან დროულად ვერ მოესწრო აფრის გაშლა თუ დახვევა, პაპა წამსვე დგებოდა და იქვე, სიტყვის უთქმელად სცემდა ბიჭს გაფისული თოკით, ისე, რომ ანდრეიკას მთლიანად არასოდეს შეხორცებია იარები.

ერთფეროვანი და მოსაწყენი იყო ბიჭის გარე სამყარო: გარშემო ეკრა წყალი, ცა და ტრამალი, გაშიშვლებული ზღვის ნაპირი; მიუხედავად ამისა, ანდრეიკასათვის ეს უდაბნოს მსგავსი მიდამო მაინც იყო დასახლებული ცოცხალი არსებებით.

ტრამალზე ხან სტვენა-სტვენით დარბოდა, ხანაც ბოძივით დარჭობილიყო თავის სოროსთან თრია; გამხმარ ბალახზე დასრიალებდა ჰაერში დინჯად მობოინე ფრთებგაშლილი ძერას ჩრდილი; ბორიალობდნენ ქორი და სხვა ონავარი ფრთოსნები; თრთოდა თითქოსდა ცაში უმოძ-

რაოდ გამოკიდებული ალალი; ჩაჟამებულიყვნენ ყორღანებზე განკერძოებით წამოსკუპებული პირქუში ორბები; სილიან ნაპირზე მიმოჭკროდნენ მყვირალა თეთრი თოლიები, რომლებიც ბადიდან ამოყრილ თევზს ეტანებოდნენ და ცდილობდნენ მოეტაცნათ პირდაპირ მეთევზის ხელიდან; გაზაფხულსა და შემოდგომაზე ჟივილ-ხივილით და ღრიანცელით ირეოდა აურაცხელი გადამფრენი ფრინველი.

მაინც, ხმელეთზე უფრო, ნაირგვარად და მრავლად მდიდარი იყო ზღვა. ჯგუფ-ჯგუფად დანავარდობდნენ თართი, ქაშაყი, კობრი, კარჩხანა, ნაფოტა და ბევრი სხვა თევზი; ფსკერის ქვიშაში დაფუთფუთებდა უთვალავი წყლის მღილი და დაბობღავდნენ კიბორჩხალები. ივლისის დამლევს ზღვა ღამ-ღამობით ბრწყინავდა ხოლმე. ტალღების ქოჩრები მოცისფროდ ციმციმებდა, ყველაფერი, რაც კი მოძრაობდა თუ ირხეოდა — ნავის ნაკვალევი, ნიჩბის მოსმით გაჩენილი წრეები, ზვირთების ცემის ზოლი, წყლის შხეფის თითოეული წვეთიც კი — ათასფრად ბრჭყვიალებდა. ანდრეიკას ეჩვენებოდა, რომ ეს უცნაური, ცისფერი ნათება რაღაც იდუმალებით დაკავშირებული იყო მკვდრებთან, დამხრჩვალთა გვამებთან, რომლებიც ზღვის ფსკერზე განისვენებდნენ.

...პაპა აგაფონი ენაძვირი და კუშტი კაცი იყო. მაგრამ როცა კი სიტყვა წყალქვეშა მობინადრეებზე ჩამოვარდებოდა, ნაოჭებით დაღარული სახე მყისვე გაუნათდებოდა და ჭროღა თვალები აუკიაფდებოდა. ასეთ დროს მზად იყო, გამუდმებით ეყბედა.

— ბაბუ, საიდან მოდის ეგ გამოულეველი თევზი? იჭერენ, იჭერენ და ბოლო მაინც არ უჩანს. ყველა მას ერჩის, ყველა თევზაობს. წყალში ნიჩაბს ვერ მოუსვამ ისე, რომ ბადეს არ მოედოს. თევზმა, ნეტა, თუ იცის, დასაჭერად რომ დასდევენ? — ეკითხებოდა ბიჭი.

— ერთი შენცა! იცის, მაშა! თევზი აი, ჩვენსავით, შეხვდება თუ არა თავისიანს, მაშინვე ასე და ისეო, წვრილ-წვრილად ჩაუკენჭავს მებადურეებზე: სად ბადე გაუშლიათ, სად ანკესი ჩაუგდიათ. მაგრამ ერთი კია, თევზი თევზს თავისებურად ემუსაიფება, ადამიანს მათი ენისა არა გაეგება რა. მხოლოდ იმათ, ვინც ზღვაში დამხრჩვალა და მის ფსკერზე უპოვია სამარე, ესმით თევზების ბაასისა, იმიტომ, რომ თევზს არ ერიდება უსიცოცხლო ლეშისა, ფიქრობს, ვერ გაგვცემსო. ნებივრად დაცურავს მის ირგვლივ და საუბრით ერთობა.

თვალებად ქცეული ანდრეიკა გაფაციცებით შეჰყურებდა პაპას. ბიჭმა წარმოიდგინა წყლის ლურჯი სიღრმე, მოყვითალო ზღვის ფსკერი და მასზე დარუმბული, გალურჯებული გვამი, ღიად რომ დარჩენოდა თვალები. მის გარშემო კი დაცურავენ თევზები ლაყუჩების რხევით, ყლაპავენ მლაშე წყალს, თანაც ერთმანეთს უამბობენ, თუ სად და რა ხდება. ანდრეიკაზეც ჩამოაგდებენ ხოლმე სიტყვას, რაკი იციან, რომ იგი და პაპა აგაფონი ნავში სხედან და ბადეს უშვებენ წყალში.

ბიჭს, ცოტა არ იყოს, შიში ეპარება. როცა ნავში იჯდა, მისთვის გარესამყარო ზღვის ზედაპირით იფარგლებოდა და ის, თუ რა იყო იქ, მის სიღრმეში, სულაც არ ედარდებოდა. იქ მხოლოდღა წყალი იყო და იქედან ბადით თევზი ამოჰყავდათ. ახლა კი შეიტყო, რომ მთელი ეს უვრცელესი, დამაფრთხობელი, შემზარავი სიღრმე თურმე მოფენილი ყოფილა არა მარტო უსუსური და უტყვი, ბადეს მოყოლილი და ნავში ჩაყრილი მოდგაფუნე თევზებით, არამედ საზრიანი არსებებით, რომლებსაც შეუძლიათ ადამიანივით ლაპარაკიც და თავის დაცვაც ხიფათისა და უბედურებისაგან.

ზევით მზე ანათებდა, დაცურავდნენ ღრუბლები, ჰქროდა ქარი, წყლის სიღრმეში კი ხდებოდა იდუმალებით მოცული უცნაური მოვლენები, მტრულად განწყობილი ანდრეიკას და მისი პაპის მიმართ.

— ავიღოთ კობრი, — უკვე საღერღელაშლილი, მთლად ენად იკრიფებოდა აგაფონი, — ვითომ ერთი მუნჯი თევზია და მეტი არაფერი, ხომ? მაგრამ, როცა ბადეს სწევენ და ნაპირისაკენ მიათრევენ მთელი შიგმოსვედრილი თევზით, კობრი სხვა თევზზე უფრო გაჯიქდება და იგრძნობს თუ არა, რომ მოემწყვდა, ერთბაშად გაქანდება რაც ძალი და ღონე აქვს, და დინგით ეძგერება ბადეს, ისე მძლავრად, რომ თოკებიც კი ირხევა; თუ ბადე ძველია, გაგლეჯს და თავს უშველის, სხვა თევზებსაც თან გაიყოლიებს: თუ ვერაფერი გაახერხა, იწყებს ახტომ-დახტომას, აქაოდა, იქნებ ბადეს გადავახტეო. როცა მიხვდება, რომ ეს ცდაც გაუქარწყლდა და საქმე ცუდად მისდის, და რომ ბადე წყლიდან ბევრად მაღლა აუწევიათ და სადაცაა ნაპირზე გაათრევენ, მობრუნდება ბადის საპირდაპიროდ, ცხვირს შლამში ან სილაში ჩაჰყოფს და ისე გაძალიანდება, რომ ბადეს თავის გლუვ და სრიალა ზურგზე გადაათრევინებს. ზურგი შეიძლება კიდევაც გადაეყვლიფოს, მაგრამ ამასაც არად დაგიდევს, ოღონდ კი თავს უშველოს...

—მაშ, კობრი ჭკვიანი ყოფილა?

— აბა რა გეგონა! ადამიანი თუ ეშმაკია, თევზი მასზე უფრო ცბიერი გახლავს!

მორჩება თუ არა ლაყბობას, პაპას ისევ მოექუფრება სახე, შეჭმუხნის შუბლს და ისევ ის პაპა აგაფონი ხდება: გულჩათხრობილი და უთქმელი.

პაპა და ანდრეიკა მოუღლელად მუშაობდნენ — არც უქმე იცოდნენ და არც წესიერი დასვენება. რასაც კი მოინაგრებდნენ, აგაფონი სასმელში ფლანგავდა. დაბრუნდებოდნენ თუ არა ზღვიდან ნადავლით, მოხუცი გადამყიდველებს მიასაღებდა თევზს. ანდრეიკას მკაცრად უბრძანებდა, შინიდან ფეხი არ მოეცვალა: დაჯდეს და ჰკემსოს ბადე, გმანოს ნავი, დაბებკოს იალქანი, ნემსკავებს წვერი წაუმახოს და მკედს გამოაბას. თვითონ კი დიდი სავაჭრო დაბისკენ გასწევდა. აქ მანამ სვამდა, სანამ ფული არ შემოეხარჯებოდა და უგროშ-უკაპიკოდ არ დარჩებოდა, ზოგჯერ სამოსსაც არ შეირჩენდა — ღვინოში აგირავებდა.

როგორც კი პაპა აგაფონი თვალს მიეფარებოდა, ანდრეიკა წამსვე გაადგებოდა ხელიდან მობეზრებულ ბა-



დეს, ნემსკავებს, დასაბებკავ აფრას და გარბოდა სოფელში. აქ ღობე-ყორეს ედებოდა, ბაღჩა-ბოსტნებში კიტრებს დაერეოდა, ბეღურებს მუსრს ავლებდა, ხუტორელ ბიჭებს დაკა-დაკას უმართავდა. მაგრამ არასოდეს ავიწყდებოდა ბებია სპირიდონიხას მონახულება, რომელიც გულუხვად უმასძინძლდებოდა საყვარელ ობოლს სტაფილოიანი ღვეზელით და ხაშხაშიანი ტკბილი კვერებით; თანაც უყვებოდა ზღაპრებს ჯადოქრებზე, ავსულებზე, ქაჯსა და ოჩოპინტრეზე, აგრეთვე საკვირველ ქვეყნებსა და უცხო ქალაქებზე, ზღვის გაღმა რომ არსებობდნენ.

— იქ ვეებერთელა სახლებია აწოწოლავებული, — უამბობდა ბებია მის ფერხთით მოკალათებულ ანდრეიკას და ნაჯაფარ, მქისე ხელისგულს დაყვავებით უსვამდა თავზე. ბიჭი მონუსხულივით უსმენდა. — ცხოვრობენ იმ ქალაქებში, — ჩიფჩიფებდა ბებია, — სულ მდიდარი ბატონები და მთელ დროს უსაქმურად ატარებენ.

— თევზსაც არ იჭერენ? — ეკითხებოდა ანდრეიკა და თან იბუსკნებოდა.

— ჰი, ერთი, რის თევზი! ოთახის დაგვა რაა, იმასაც კი თაკილობენ. ჰა, კიდევ აიღე კვერი. შეგერგოს, ჩემო ობოლო ბიჭუნი.

— ბებო, პაპამ მიამბო ერთხელ, რომ ჩემი დედიკო ქოხთან გაყინულა. მართალია?

— მართალია, შენი ჭირი შემეყაროს, ჩემო გვრიტო! მოკვდა საწყალი, გაიყინა ის უბედური. ისეთი ჭახჭახა ყინვა იყო იმ კუნაპეტ ღამეს... ისეთი ქარბუქი... ეხ, აკულინა მიტრევნას საუკუნო განსვენება, პაპა აგაფონს დღეგრძელობა და ჯანმრთელობა...

— მწარედ მირტყამს, ბაბუდა, პაპა. დაუზოგავად მჟეჟავს. შენ გეტყვი, ბები: თუ არ მოუშლია ჩემი ცემა — გადავიკარგები, იცოდე.

— შენსავე სახეიროდ გირტყამს, ჩემო სულელო ბიჭო: ჭკუას გასწავლის. გაგლახავს და მერე შეგიბრალებს; შენც გაუგონე, ნუ ეურჩები...

ერთადერთი ადამიანი იყო ბებია სპირიდონიხა, ვისთანაც ანდრეიკა სითბოსა და ალერსიან მოპყრობას გრძნობდა, ვინც მას ეფერებოდა.

დაბრუნდებოდა თუ არა პაპა შინ, სულ ჩამოფლეთილი, გაღიზიანებული და უჟმურ გუნებაზე მყოფი, დახედავდა უპატრონოდ მიყრილ ბადესა და იალქანს, ხელს დაავლებდა თოკს და ისე მიუჟეჟავდა ბიჭს, საწყალი მთელი კვირა გონს ვერ მოდიოდა.

3

მზე მწვავედ აცხუნებდა. ჰაერში ულმობელი პაპანაქება გასუდრულიყო. ბუღი შედედებულიყო ზღვაზეც, რომლის მიუწვდომელ სიღრმეში თავდაყირა დაკიდული ლურჯი ცა კრთოდა. აფრა-ჩამოჩოჩებული და ფისით გაზინტლული შავი ნავიც სივრცეში გაკიდული გეგონებოდათ და მის ქვეშ თითქოს მეორე ისეთივე დაპირქვავებული ნავი ჩანდა წყალში.

წელში მოხრილი ანდრეიკა და პაპა ნავის გასწვრივ ეწეოდნენ გაჭიმულ დიდ ბადეს და ნადავლი ამოჰქონდათ ზევით. ბიჭს ხვითქი გადასდიოდა ალმურმოდებულ სახეზე, ოფლის წვეთები წყალში ცვიოდა. ტვირთის სიმძიმისაგან წყალში საკმაოდ ღრმად ჩამჯდარი ნავის შუაში

ალმართულიყო მიმტკნარებული, უნიათოდ მთრთოლავი თევზების გროვა.

ნაცემ ანდრეიკას უხურდა და წიწკნიდა ჯერ მოუშუშებელი ნაიარევი, ამიტომ ბრაზით უსივდებოდა გული და თავში შავი ფიქრები ურიალებდა. ჯერჯერობით კი მთელი თავისი წყრომა და ჯავრი ვერაგ კობრზე უნდოდა ეყარა, რომელმაც ასე უმუხთლა მაშინ.

„ვნახოთ, — ავად უელავდა ფიქრი, — შე ფაშვიანო ქაჯო, კიდევ ჩამივარდები ხელში. აი, როდის ამოვალ შენს ოხტში! რო ჩაგაჭერ ორივე მხრიდან ლაყუჩებში ხელებს, აი, თუ ბიჭი ხარ, მაშინ დამიძვერი ხელიდან... ჰე, რა მასხრად აგიგდებ!..“

მაგრამ ვინაიდან მუხანათი კობრი სულაც არ აპირებდა ანდრეიკას ხელში ჩავარდნას, ბიჭმა სულ სხვა საგანზე გადაიტანა ბოღმიანი ფიქრი.

„ვითომ რა ვარ მე მაგისი — შვილი თუ მონა, რო აიღებს და ზაპაზუპით მეეჟავს გაფისული თოკით? ისე გამშოლტა, პერანგიც კი შემომაფხრიწა. აი, ნახავ, თუ არ გაგექცე... წავალ ქალაქში, მოჯამაგირედ დავუდგები ვინმეს, ან მეთევზეთა არტელში ამოვყოფ თავს, მსდიე მაშინ, ვნახავ, როგორ იმარიფათებ უჩემოდ! განა უბრალოდ გაგეცლები — გავბურღავ ნავს, და რომ არ შეამჩნიო, ჩვარს ჩავჩურთავ ნახვრეტში; ავალ გორაკზე და იქიდან სეირის ცქერით დავტკბები. დაიძვრება ნავი თუ არა, წყალი ჭინჭს გამორეცხავს და შენი პაპაც, გაგიხარია, აცურდება გაპიპინებულ ნავში! რას იყვირებს — ანდრეიკა, მიშველე, ვიღუპები!.. მე კი მივაძახებ: „ხო-ო!.. ერთი გაიხსენე, როგორ უმოწყალოდ მცემდი, პერანგიც კი არ შემარჩინე ტანზე!“

მაგრამ სიცხე და მოთენთილობა თანდათან ამშვიდებს მას, ანდრეიკას გულისწყრომა და გაშმაგება უნელდება. პაპას კი აზრადაც არ მოსდის, მაგრამ თუნდაც იცოდეს, აინუნშიაც არ ჩააგდებს ბიჭის მზაკვრულ ფიქრებს: აბოლებს თავისთვის ჩიბუხს, ამოჰყავს ბადიდან თევზები და კიჩოზე ჰყრის. იგი გულმოდგინედ მუშაობს, ყველა წესის დაცვით. მოხუცს არ უყვარს მუშაობისას მუსაიფის გაბმა. კმაყოფილია დღევანდელი ნადავლით და თვალებზე ჩამოფარებული შეთრთვილული წარბებიც რამდენამდე ზევით ასწევია. ბადის მოხილვას ეშურება, სურს მოასწროს ღამით შინ დაბრუნება...

მოულოდნელად ბიჭს მისი ბრძანება შემოესმა:

— ანდრეიკა, ბადე ჩაუშვი და აფრა ამართე!

ბიჭი გაოცდა და მიაშტერდა პაპას — რა მოეჩვენაო. ჯერ ხომ ბადის ნახევარიც არ მოუხილავთ (თევზი კი ბლომად დაიჭირეს). არასოდეს ღამეზე ადრე შინ არ დაბრუნებულან.

მოხუცს არ უყვარდა ბრძანების გამეორება. ანდრეიკამ აჩქარებით ჩაუშვა ბადე წყალში შიგ ჩარჩენილ თევზებიანად. მერე გამალებით წატანა აფრას და ჩახლართული თოკების მოწესრიგებას შეუდგა.

— იალქანი ქვემოდან შეკეცე და ანძის შუამდე დაუშვი!

ანდრეიკამ ეს ბრძანებაც მკვირცხლად შეასრულა. ახლაც არაფერი უკითხავს. საერთოდ, აფრას ქვემოდან ამცირებდნენ და ანძის შუამდე დაჰყავდათ იმ შემთხვევაში, როცა ქარიშხალი იყო მოსალოდნელი (ამით ქარის დაწოლის არეს ამცირებდნენ).

—აბა, ნიჩბებს მიუჯექ!

ოფლად გაწურულმა ანდრეიკამ, ჩვეულებისამებრ, სიტყვის შეუბრუნებლად მოუსვა ნიჩბები.

ამ დროს ცაზე, არცთუ ძალიან მაღლა, გამოჩნდა ქათქათა, მოელვარე, კიდეშემოფლეთილი მომცრო ღრუბელი, რომელიც მარდად მოცურავდა. მხოლოდ ეს ერთი კრიალა ღრუბელი არღვევდა ზღვაზე გამეფებულ სიცხიან უმოძრაობასა და სიმშვიდეს. პაპა განუწყვეტლივ შეჰყურებდა ხან ღრუბელს, ხანაც ჰორიზონტს. იქ, დასალიერის სილაჟვარდეში, განუყრელად შენივთებულიყო ცა და წყალი, სწორედ იქიდან მოისწრაფოდნენ აქეთკენ ხშირი, ქაფმოგდებული ტალღები. მათი ეს გამალებული სრბოლა გაუგებარი და აუხსნელი ჩანდა ამ მიყუჩებულ მყუდროებაში.

სუნთქვის შემხუთველი სიცხისა და დაძაბულობისაგან გაწვალებული ანდრეიკა უნიათოდ და გაოგნებული გამოიყურებოდა. წუთის წინანდელ მოკრიალებულსა და მშვიდობიან ცაზე უკვე ზედიზედ, ერთიმეორის მიყოლებით, ზლაზვნით მოისწრაფოდნენ ღრუბლები, ცალ მხარეს — კაშკაშა და მეორე მხარეს — ავის მომასწავებლად მოქუფრულნი. პაპა, აქამდე რომ სულ ანდრეიკას ავალებდა ნიჩბების მოსმას, ამჯერად თვითონ მიუჯდა მათ და მძიმედ დატვირთული ნავი უფრო ფხიანად ამოძრავდა იმ მიმართულებით, საიდანაც, საცაა ნაპირი უნდა გამოჩენილიყო.

იმ მხრიდან კი, ღრუბლები რომ მოიწევდნენ, უეცრად წყნარ ზღვაზე ურიცხვნაკეცებიანი მღვრიე ზოლი გაიჭიმა, რომელიც სწრაფად გრძელდებოდა და მალე ნავსაც მოაწყდებოდა. იმავ წუთს მოვარდა ქარი, შეანჯღრია აფრა, ანდრეიკას პერანგი ამოუბურცა ზურგზე და ისევ გაიჭრა წვრილ ჭავლებთან ერთად, ზღვის ნათელ ზედაპირს რომ ამუქებდნენ.

ადგა სახემოღუშული ბერიკაცი, გვერდიგვერდ დაალაგა ნიჩბები, აიღო სკამზე გადაფარებული ხიფთანი, ჩაიცვა, მჭიდროდ შემოიჭირა ზედ ქამარი და მოიკალათა კიჩოზე; აქ, თავის გვერდით, აფრის ქვედა კუთხის თოკი გააძვრინა რგოლში, გადაიხვია მაჯაზე და მკვეთრად ჩაეჭიდა საჭეს.

ზღვა ჭავლთა მუქი ლაქებით დაიფარა. მხოლოდ ალაგ-ალაგ, ნათელი წყლის ღიობებში, ირეკლებოდა დაუცხრომლად მორბენალი ღრუბლები. მალე ზღვის დაუსაბამო სივრცე კიდით-კიდემდე ავად მოიქუფრა.

ქარმა ერთბაშად გაბერა იალქანი და ხმაურით გააქანა ნავი, რომელიც მიჰყვებოდა წყლის ბექობს და თითქოს ლამობდა სისწრაფეში გაჯიბრებოდა ღრუბლების მოსრიალე ლანდებს, უკან კი აქაფებულ, გრძელ კვალს იტოვებდა.

გრიგალად ქცეულ ქარს ჯერ მაინც ვერ მოეხერხებინა წყნარი ზღვის უცაბედად აბორგება, ეს კია, რომ წყალი უფრო და უფრო შავდებოდა, მაგრამ პაპამ კარგად უწყოდა მეუსეულად მოვარდნილი ზაფხულის

ქარიშხლის მუხანათობის ამბავი: იგი სადღაც შორს ატყდებოდა და, შორეთიდან მოვარდნილი, თან მოიყოლიებდა ვეება ტალღებს, აბორგებდა აქამდე მყუდრო და მშვიდ ზღვის ზედაპირს... ამიტომ იყო, რომ პაპამ სწრაფად ნავის გადაბრუნების რისკის გაწევით, სავსებით მიუშვა იალქანი, და ისეთი გაუგონარი სიჩქარით გააქანა ნავი, რომ კაცს თვალი აუჭრელდებოდა.

ჯერ იყო და, ნაპირი წვრილ ზოლად ირჩეოდა, შემდეგ კი უფრო ცხადად გამოჩნდა წინ.

ამასობაში ზვირთებიც წამოეწივნენ ნავს — მოდიოდნენ ჯარად, როგორც მრისხანე ლაშქარი, დას-დასად, ქაფმოდებული თეთრი თავების რხევით. ირგვლივ ჯოჯოხეთი ტრიალებდა. ნავი ცხვირით იჭრებოდა წყალში. უზარმაზარი, აქოჩრილი, ქარით ატაცებული, დორბლმორეული ზვირთები შეუნელებელი შიშინითა და ზათქით მოსდევდნენ ნავს; აჩუხჩუხებული მომწვანო წყლის ქოჩრები შიგ ნავში ეცემოდნენ ზღართანით. თოკები ლარებივით დაიჭიმა, იალქანი კი ანძას ღუნავდა და უკიდურესი დაძაბვისაგან ძაგძაგებდა, შხეფებისაგან მთლიანად გაწუწული. თვით ზეცამდე, სადაც უკვე უფრო სწრაფად და დაბლა-დაბლა მიცურავდნენ ლეგა, აბურძგნული ღრუბლები, იდგა გამაყრუებელი გრიალი, რის გამოც აღარ ისმოდა არც ადამიანისა და აღარც ნავის კილოების ჭრიალის ხმა.

თუმცა ანძას მიმკვდარი ანდრეიკა ხედავდა, როგორ აცმაცუნებდა პაპა ტუჩებს, მისი ნათქვამისა ვერა გაეგო რა. ბიჭი შესცქეროდა აბობოქრებულ შფოთიან ზვირთებს, ჯიქურ რომ მოდიოდნენ დასაჯახებლად. ნავი ხან გვერდზე წვებოდა და აბორგებულ წყალში ავლებდა აფრის რომელიმე მხარეს, ხან ზედ თხემზე ექცეოდა ტალღას და მაშინ ანდრეიკა ხედავდა რამდენიმე ვერსის მანძილზე ზვირთების მიხლისაგან გათეთრებულ ნაპირს, ბებერ ტირიფსა და მის გვერდით მდგარ თეთრ ქოხს.

მოხუცი ისევ უჩუმრად იჯდა კიჩოზე. იგი ძლივს ჩანდა წყლის ხშირი შხეფებისა და ჰაერში ატაცებული ქაფის ბურუსში. დაჟინებით მართავდა საჭესა და აფრას, ცდილობდა ზღვის გააფთრებული შემოტევების მოგერიებას. მერე თავი მოაბრუნა და რაღაც ანიშნა ბიჭს. ანდრეიკამ აქეთ-იქით ხეთქებითა და ქანაობით, ოთხზე ფორთხვით მიაღწია კიჩომდე. პაპა დაიხარა და ბიჭს ყურში ჩასძახა:

— თევზი გადაყარე!

ანდრეიკამ შეცბუნებული მზერა მიაპყრო პაპას, მაგრამ პასუხად მოხუცის იდაყვი მოხვდა ფერდში. აკანკალებული ხელით იწყო ნავის დაცლა ჯერ ისევ ცოცხალი, მოფართხალე თევზებისაგან. ახლაღა მიხვდა შემცბარი ბიჭი, თუ რა საზარელ საფრთხეს უქადდა მათ გამძვინვარებული ქარიშხალი, და ბავშურმა შიშმა და უიმედობამ სავსებით აიტაცა იგი. ცალი ხელით კადონს შემოჭდობილი, მალიმალ ისროდა ზღვაში თევზს და ზაფრამორეული მწარედ ქვითინებდა:

— უ... უ... უ... კეთილო ხალხო! ვიღუპებით!..

ბრაზმორეული ქარაშოტი მაშინვე იტაცებდა ანდრეიკას ჩივილს. აზვავებული ტალღები ნირს არ იცვლიდნენ, გამუდმებით ეხლებოდნენ ნავს და შხეფების თეთრ სვეტებად იჭრებოდნენ ცაში. ნაპირიც ახლოვდებოდა; თვალი უკვე წვდებოდა მრუმედ გამომზირალ თიხნარიან ჩამოლეკილ ფლატეებს, სანაპიროს მოყვითალო სილას და ძველი ნავების ჩონჩხებსაც, შავად რომ გამოიყურებოდნენ. ანდრეიკა გამალებით ხაპავდა წყალს. უკვე გაუჩნდა იმის იმედი, სადაც არის ღელვა მიწყნარდება და გვეშველებაო.

მაგრამ კვლავინდებური გრგვინვა-გრიალით მოჰქონდა იერიშები ამთაგორებულ წყალს, ისევ დაფრინავდა ქაფი და ისევ ჩამოწოლილიყო ბნელით მოსილი ღრუბლები.

გამეტებით დაჰქროლა ქარტეხილმა, აახმაურა და ააჭრიჭინა ნავის აკაზმულობა, შებერტყა იალქანი, თვით ნავი კი უმწეოდ მიაწვინა გვერდზე, თან ვეებერთელა ზვირთიც გადაამხო ზედ.

ანდრეიკა, თხემით ტერფამდე გალუმპული, ანძას მაგრად ჩასჭიდებოდა, პირში ბლომად გადაცდენილი მლაშე წყლით იგუდებოდა. მოხუცის ქარდაკრულ, ნამჯეურ სახეს მიწისფერი დასდებოდა, ქვედა ყბა უტოკავდა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იგი მკერდით აწვებოდა ნავის ზეაწეულ გვერდს. ამის შედეგად ნავი თუმცა სწორდებოდა, მაგრამ ნახევრამდე წყლით ავსებული და დამძიმებული, ძლივს ექცეოდა თავზე ქაფმოგდებულ ტალღებს, ჯიუტად რომ ეხეთქებოდნენ მას. აუტანელი შიშით მოცულ ანდრეიკას უკვე აღარ სჯეროდა გადარჩენისა, ნავში დაგუბებულ წყალში ფართქუნითა და ტოპვით ისევ მიღოღდა პაპასკენ:

— ბა-ბუ-უ! მეშინია!..

მოხუცმა, რომელსაც გაფითრებულ პირისახეზე ყვრიმალის კუნთი უხტოდა, ბიჭი მოიზიდა, საჭე და აფრის ქვედა ბაგირის ბოლო მიაჩეჩა ხელში.

— ტირიფს! ტირიფს უმიზნე!

პაპა ყვიროდა, მაგრამ ტალღების გრგვინვაში ანდრეიკამ ვერაფერი გაიგონა. ის კი დაინახა, მოხუცმა რომ უცებ მოიგლიჯა თავიდან ქუდი და ჩექმებიც გაიხადა. მერე პირჯვარი გადაისახა სწრაფად და წინგაშვერილი ხელებით ზვირთებში გადაეშვა.

შემსუბუქებული ნავი უფრო მარდად გაქანდა. გარშემო კი, ვით ქარბუქში თოვლით დაფარული ველი, გათეთრებულიყო ქაფმოდებული ზღვა.

ნაპირი სულ უფრო მეტად ახლოვდებოდა და ყველაფერი, რაც კი მასზე იყო განლაგებული, თვალდათვალ იზრდებოდა: თიხნარიანი ხრამები, კუპრით გამურული, სილაზე გადმოპირქვავებული ნავები, თეთრი ქოხი და მის გვერდით — ტირიფი.

იმის შეგნებამ, რომ სადაც არის სამშვიდობოს გააღწევდა, გაამხნევა ანდრეიკა.

იღლიაში მაგრად ამოიჩარა საჭე, მაჯაზე აფრის დაჭიმული ქვედა თოკი გადაიხვია და უკან მიიხედა: ძალიან შორს, ტალღებისა და თეთრი ქაფის კორიანტელში, თვალი ჰკიდა ადამიანის თავს, რომელიც ხან გამოჩნდებოდა, ხანაც გაუჩინარდებოდა — ხან მაღლა იწევდა, ხანაც ქვე-

მოთ ეშვებოდა ზვირთებთან ერთად. ანდრეიკას რწმენით პაპა აგაფონი მკაცრი ხასიათისა და უდრეკი ნებისყოფის სრული განსახიერება იყო და ახლა ასე უსუსურს, ტალღების ნება-სურვილს დაყოლილს რომ ხედავდა, ძალზე განცვიფრდა. გაოცებული ბიჭი ბავშვურად, ყურთასმენის წამღებად აღრიალდა:

— ბა-ბუ-უ! ბა-ბუ-უ! ბა-ბუ-უ!

ცრემლებისა და სახეზე მიპკურებული მლაშე შხეფების ყლაპვით ანდრეიკა, რაც კი ღონე ჰქონდა, ძალუმად დააწვა საჭეს. ნავი შეირყა, გადაიხარა, სწრაფი და მკვეთრი მოძრაობით ადგილზევე შემობრუნდა, რკალი შემოხაზა და თითქოს წამით გაირინდა ქარის საპირისპიროდ. იალქანი მოეშვა, ფომფლოდ ჩამოკონწიალდა. მაინც ტკაცუნობდა, როცა ფრიალ-ფრიალით ეხლებოდა ანძას.

ანდრეიკა შეუჩერებლივ ქვითინებდა. მან საჭე იმგვარად მიაბრუნა, რომ ნავი მთლიანად შემოტრიალდა. ქარმა ახლა მეორე მხრიდან დაუბერა წინწაშვერილ აფრას და მოსხლეტით გააქანა ნავი, რომელიც თანდათანობით წყლით ივსებოდა და უფრო და უფრო ღრმად ეფლობოდა. იგი მიიწევდა იქითკენ, საიდანაც გაშმაგებულ ხროვად, ზათქითა და ზრიალით მოგორავდნენ გამძვინვარებული ზვირთები, და სადაც უმწეოდ ქანაობდა ბეჩავი პაპის თავი.

— ბა-ბუ-უ! ბა-ბუ-უ! ბა-ბუ-უ!..

თარგმნა მიხეილ კაკაბაძემ






# კოცონი

## მათი შრომაც ერთვის რესპუბლიკის შრომას

იანვარში საკავშირო პიონერთა ბანაკი „არტეკი" პიონერთა საკავშირო აქციებში გამარჯვებულებს მასპინძლობდა; მასპინძლობდა იმათ, ვინც საკავშირო მარშის სიმაღლეებს შრომითი საქმიანობითაც იპყრობს, იმათ, ვისი წვლილიც არის ჩვენი ქვეყნის შრომით წარმატებებში.

პიონერთა შრომითი საქმეების ხუთწლედი ჩვენი რესპუბლიკის ყველა სკოლის რაზმეულში მოქმედებს. ეს კი ნიშნავს, რომ დღეს მისი მონაწილე პიონერები ავლენენ შრომისმოყვარეობას, იჩენენ დიდ ინტერესს მე-11 ხუთწლედით გათვალისწინებული საქმეებისადმი.

პიონერული აქტივის კლუბის „კოცონის" მორიგ შეკრებაზე მოვიწვიეთ რამდენიმე უფროსი პიონერხელმძღვანელი საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან არსებული რესპუბლიკური პიონერული სკოლიდან. ისინი საკავშირო თუ რესპუბლიკურ შრომით აქციებში თავიანთი სკოლების პიონერების მონაწილეობაზე მოგვითხრობენ.

**მარინე კოზეშავიძე,**
წულუკიძე, გუბის საშუალო სკოლა.

— ჩვენი რაზმეულის პიონერები ცხოვრობენ და საქმიანობენ დევიზით: „თითოეულ პიონერულ რაზმს — დამკვრელური საქმე, თითოეულ პიონერს — შრომითი დავალება". ისინი აქტიურად მონაწილეობენ ოპერაციებში „შავი საბადო", „თეთრი ფარი", „მწვანე აფთიაქი", „ნობათი წიქარას," „ცოცხალი ვერცხლი", „მწვანე სამოსი სამშობლოს", „შუქურა".

ამ შრომით აქციებსა და ოპერაციებში თითოეულ რაზმს თავისი საქმიანობის კონკრეტული გეგმა აქვს მოფიქრებული.

რაზმი რაზმს ეჯიბრება, პიონერებმა იციან, რომელი რაზმი სად, როდის, ვის უნდა დაეხმაროს, რა უნდა გააკეთოს. რაზმეულმა შარშან შეაგროვა 10 ტონა ჯართი, 1 ტონა მაკულატურა, მოკრიფა 300 კილოგრამი ტყემალი, ჩაის კრეფაში იაქტიურეს პიონერებმა ზ. ვაშაკიძემ და ვ. ცაგარეიშვილმა. ჩვენი პიონერები ხშირად ხვდებიან შრომის მოწინავეებს. ეწყობა დისპუტები, ანკეტური გამოკითხვები: „რომელი შრომითი საქმიანობა გიტაცებს და რატომ?" „როგორ გესმის შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება?" და სხვა.

პიონერებმა კომკავშირელებთან ერთად შეადგინეს ალბომები: „გიყვარდეს შრომა", „შრომის მოწინავენი".

**ნუნუ მაჭუტაძე,**
ქედის რაიონი, მახუნცეთის საშუალო სკოლა.

— პიონერთა შრომითი საქმეების ხუთწლედი! — ძალიან მოსწონთ იგი პიონერებს, რომლებიც მოქმედებენ დევიზით: „ვიყოთ იქ, სადაც საჭირონი ვართ!".

სკოლაში სულ 65 პიონერია. თითოეულ მათგანს საკუთარი შრომის წიგნაკი აქვს. შიგ კი საკავშირო მარშის მოთხოვნილებიდან გამომდინარე კონკრეტული შრომითი ვალდებულებები უწერია.

კონკრეტული ვალდებულებები პიონერული სიმაღლეების მიხედვით არის აღებული, პიონერებმა სწორად გაიგეს სასურსათო პროგრამის განხორციელებაში თავიანთი წვლილის მნიშვნელობა, გამოზარდეს 260 ხბო, 1500 ფრთა ფრინველი, 60 ბოცვერი, 30 გოჭი.

სკოლის შეფი — რაიონში ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნეობა, რომლის შემოსავალმა მილიონს გადააჭარბა, დიდად ემადლიერება მოსწავლეებს. პიონერები უფროსებს ეხმარებიან ხილის და ჩაის კრეფაში, ჩითილების გამოყვანაში, თამბაქოს შეტეხვა-ანემსვაში, ვენახის გადაბარვასა და ყურძნის კრეფაში, ხეხილის გაშენებაში.

სასურსათო პროგრამის შესრულებაში თავისი წვლილი შეაქვს რესპუბლიკურ პიონერულ ოპერაციას „ნობათი წიქარას". ჩვენმა პიონერებმა 10 ტონა თივა მოთიბეს, 3000 კონა ჩალა დაამზადეს, 15 ტონა ხილოსი ჩადეს. ამ საქმეში თავი გამოიჩინეს: ე. გორაძემ, ა. შარაბიძემ, თ. აზარიძემ, დ. თუძანმა, ე. გოგიტიძემ, ო. შოთაძემ, ხ. ბოლქვაძემ, ვ. ღოღობერიძემ.

პიონერებმა ნინო, თამაზ, ციური, ტარიელ აზარაძეებმა 100 ფრთა ქათამი და 30

თხა გამოზარდეს და ნამატი სახელმწიფოს ჩააბარეს.

ვისაც შრომა უყვარს, შრომის ფასიც იცის და ყაირათიანიცაა. ადრე ხშირი იყო პურისა თუ ნამცხვრის ნაჭრების ნაგვის ყუთში ჩაყრის შემთხვევები. ამ მხრივ პიონერულმა აქტივმა დიდი მუშაობა გასწია. ხშირად ეწყობა რეიდები, და პურისადმი ბავშვების უდიერი დამოკიდებულება უკვე აღარ გვხვდება.

**ციალა ნინოშვილი,**

წითელი წყარო, სოფელ სამთაწყაროს საშუალო სკოლა.

— „პიონერთა შრომითი საქმეების ხუთწლედი“ რომ წარმატებით მიმდინარეობს ჩვენთან, ეს რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარის თინიკო საკანელაშვილის დამსახურებაცაა.

ჩვენი სოფელი ახალგაზრდაა; იგი საქართველოს ახლადაღორძინებულ სოფლებს შორის მოიხსენიება, და თინიკოს ნათლად ესმის მისი პიონერების, პიონერული აქტივის ამოცანები. სწორედ თინიკოს და პიონერული აქტივის თაოსნობით მოეწყო მოგზაურობა „სამთაწყაროს ხუთწლედის გზებზე“.

დღეს სოფლის მშრომელთა საქმიანობაში რაზმეულის 82-ვე პიონერი მონაწილეობს. ისინი სამთაწყაროს მეცხოველეობის ფერმის მუშებს პირუტყვის მოვლა-პატრონობაში და სადგომის დასუფთავებაში ეხმარებიან, მევენახეებს კი მწვანე ოპერაციების ჩატარებაში, რთველში.

სკოლას სამთაწყაროს მევენახეობის მეურნეობასთან ხელშეკრულება აქვს დადებული. რაზმეულის ყველა პიონერი ცდილობს, არ დაარღვიოს ეს ხელშეკრულება, პირნათლად შეასრულოს თავისი პიონერული სიტყვა.

**მაია კუპატაძე,**

ჭიათურა, ღვითორის საშუალო სკოლა.

— ჩვენი სკოლის პიონერები აქტიურად მონაწილეობენ ოპერაციაში „თეთრი ფარი“, „შავი საბადო“, „ნობათი წიქარას“, „ცოცხალი ვერცხლი“, „ყაირათიანთა ლაშქრობა“, „იცოცხლე, წიგნო“. მათ უკვე შეაგროვეს 12 ტონა თივა, 180 კგ. ასკილი, მოკრიფეს 100 კგ. ეკალა, განსაზღვრეს რაზმეულის შრომითი დამკვრელური ობიექტი — სოფლის კოლმეურნეობა.

რაზმეული აქტიურად გამოეხმაურა დუშეთის რაიონის ახალგაზრდობის თაოსნობას. ჩვენმა პიონერებმაც გამოიყვანეს 50 ძირი კაკლის ნერგი. ნერგები სკოლის გზების გასწვრივ დაირგო. ამ საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი მეექვსეკლასელებმა.

უფროსი ასაკის პიონერებმა სკოლის გზა შეაკეთეს. სკოლის ეზოში დაფნის ხეივანი გააშენეს. ეხმარებოდნენ სოფლის საყოფაცხოვრებო კომბინატისა და საცდელი სადგურის მშენებლებს.

რაზმეულში მომზადდა სტენდები: „პიონერული ხუთწლედი“, „რაზმეულის შრომითი ობიექტების რუკა-სქემა“, „რაზმეულის დამკვრელური საქმეები“.

შრომითი საქმეების შედეგებს მარშის თითოეული ეტაპის ბოლოს რაზმებისა და რაზმეულის შეკრებებზე ვაჯამებთ.

ხუთწლედის შრომით საქმეებში გამარჯვებულებს სიგელებს, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების სხვა სამახსოვრო საჩუქრებს გადავცემთ. შეგვაქვს ისინი რაზმეულის საპატიო წიგნში. გვაქვს სტენდი: „პიონერთა შრომითი საქმეების ხუთწლედის გმირები“.

**ნუნუ შარია,**

გალის რაიონი, სოფელ ზემო ბარღების საშუალო სკოლა.

— რაზმეულის საბჭო დიდ ყურადღებას აქცევს ჩაის საბჭოთა მეურნეობისადმი პიონერთა დახმარებას. შექმნილია ნორჩ ლენინელთა შრომითი ჯგუფი. მასთან მოქმედებს აგიტმხატვრული ბრიგადაც.

პიონერებმა შარშან 90 ტონა ჩაი მოკრიფეს. ყველა პიონერს აქვს მუდმივი შრომითი დავალება. უმცროსი და საშუალო ასაკის პიონერები სკოლის ტერიტორიაზე და მის მიმდებარე ადგილებში მუშაობენ, უფროსი ასაკის პიონერები — მეცხოველეობის ფერმაში, საბავშვო ბაღსა და შინმოუსვლელთა პარკში.

ოქტომბრელთა ჯგუფების მოვალეობაა, სისუფთავე დაიცვან სკოლის ეზოში. პიონერები მზრუნველობას არ აკლებენ ომისა და შრომის ვეტერანთა, პენსიონერ მასწავლებელთა კარ-მიდამოებს, მონდომებით მუშაობენ შინმოუსვლელთა პარკში; უვლიან წინა თაობის პიონერთა მიერ დარგულ 160 მარადმწვანე ხე-მცენარეს; შინმოუსვლელი ჯარისკაცების პორტრეტებით დამშვენებულ ობელისკს.

სკოლაში გაიხსნა მეცხოველეობის პიონერული მიკროფერმა, ლიონია გოლიკოვის სახელობის რაზმის პიონერებმა დემურ ნიჟარაძემ, ჟანა ანჩაბაძემ უკვე სურვილი გამოთქვეს, რომ დამოუკიდებლად იმუშავებენ მიკროფერმაში.

რაზმეულში ხშირად მოდიან მოწინავე მესიმინდე ველოდი კაკულია, ლენინის ორდენოსანი გოგო ლურწკაია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, პაშა ანგელინას პრიზის მფლობელი მზია ბუთბაია, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი იამზე შამუგია და სხვები. რაზმეულის საბჭოს რჩევა-დარიგებას არ აკლებენ სკოლის დირექტორი შალვა შამუგია და საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ნომერ მაისურაძე.

# ჯადოსნური დირიჟორის წკირი, ანუ ბგერები ბუნებაში და სმენის ესთეტიკა

ამ პატარა და, ერთი შეხედვით, შეუმჩნეველი ჩიტისადმი მრავალი ლექსი, სიმღერა და მუსიკალური ნაწარმოებია მიძღვნილი. მისი გალობა იმდენად განუმეორებელია, რომ იტალიელმა კომპოზიტორმა რეს პიგიმ აღარ ჩათვალა საჭიროდ გამოეხატა იგი ტრადიციული ფლეიტა-პიკოლოს საშუალებით. თავისი სიმფონიური პოემის „რომის ფიჭვების“ შემსრულებლებს, საჭირო ადგილას, მაესტრომ შესთავაზა გამოეყენებინათ ფირზე ჩაწერილი ბულბულის ხმა.

ბულბულის სტვენა უყვარდა ბეთჰოვენს. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ მოვუსმენთ მისი პასტორალური სიმფონიის მეორე ნაწილს.

ფართოდ არის ცნობილი ალექსანდრე ალიაბევის რომანსი ანტონ დელვიგის სიტყვებზე „ბულბული“. ამ რომანსმა უმალ მიიქცია მუსიკის ისეთი კორიფეების ყურადღება, როგორებიც იყვნენ გლინკა, ჩაიკოვსკი და ლისტი. არანაკლებ ცნობილია გლინკას „ტოროლა“.

არაპირდაპირი გზით ხმას გამოსცემენ მცენარეებიც. ნიავის ქროლვისას ფოთლოვანი ტყე შრიალებს, ძლიერი ქარის დროს ხეები „კვნესიან“.

ბრიტანეთის რადიომაუწყებლობის კორპორაცია „ბუნების ხმები“ ყოველწლიურად აწყობს კონკურსს. სპეციალური ჟიური ისმენს ათასობით ჩანაწერს. ყველაზე იშვიათი, ორიგინალური აღმოჩენები სპეციალური პრემიით აღინიშნება ხოლმე. ამას წინათ პირველი პრემია მი-

---

გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 12, 1984 წ.

ენიჭა იფნის (კოპიტის) ხმის ჩანაწერს. უჩვეულო აქ ის იყო, რომ ეს ქარისაგან გამოწვეული ბგერები როდი იყო, არამედ თვით ხის ხმა, საოცარი ბგერებით, რომლებიც თან სდევს ხის წვენის მოძრაობას ფესვებიდან ტოტებისაკენ.

ბგერებს გამოსცემს არაორგანული სამყაროც. მეხი ვარდება, ყინული ან ქვა სკდება, ნაკადული რაკრაკებს, და ა. შ.

ბუნების ხმებმა კაცობრიობის შემოქმედების განვითარებაში დაუფასებელი როლი ითამაშეს. მათი შთაგონებით არა ერთი და ორი შედევრი შექმნილა. გავიხსენოთ თუნდაც გალაკტიონის „ქარი ქრის“.

იმავე ქარის მელოდიაზე გალაკტიონს აქვს ასეთი შედარება:

*ჭკნება ვარდები რგული,*
*ქარი ქანაობს ქნარად...*

ხოლო გაშლილი ტრამალებიდან მობერილი სიოსაგან აშრიალებული ლაქაშები გალაკტიონშივე ასეთ პოეტურ ასოციაციას იწვევს:

*ტბა შრიალებდა, როგორც შოპენის*
*მთვარიან ნისლში შესული ვალსი.*

არიან სიტყვის ოსტატები, რომელთა სმენასაც ყველაზე სალბუნ ბგერებად წყლის ზედაპირზე მოსრიალე ნავისგან გამოცემული ხმები, ანდა ნიჩბისაგან აშხეფებული წყლის წვეთების ხმაური ხვდება.

არიან ისეთებიც, რომელთა სმენას მზის ჩასვლისას ნაპირისკენ მოქცეული ზღვის ტალღების თანაბარი შრიალი იზიდავს.

ზოგი წვიმის ხმაურში, მთიდან ასკინკილით დაშვებული ნაკადულის ბუტბუტში ხედავს განუმეორებელ მომხიბვლელობას.

მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა, მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე.

ვაჟას სიცოცხლის სინონიმად მიაჩნდა ბუნება. მის ნაწარმოებებში იმდენად ძლიერია ბუნების განცდა, რომ ადამიანსა და გარემოს შორის ზღვარი იშლება. აკი თვითონ მწერალი ამბობს: „გარეშე ბუნებისა და ადამიანთა ცხოვრებისა არ არის პოეზია: ვისაც კარგად ესმის ბუნება და ცხოვრება, თუნდა ლექსებს, დრამებს, რომანებს არ სწერდეს, მაინც პოეტია“.

ვაჟამ ადამიანი და ბუნება განუყოფელ მთლიანობაში წარმოსახა, რადგან მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ „ჩვენ ბუნებაში ვართ — იგი ჩვენშია, საით, როგორ შეგვიძლიან იგი თავიდან ავიშოროთ, იმას გავექცეთ, დავემალნოთ?! ცოცხალნიც მისნი ვართ, მკვდარნიც“. ეს იყო ვაჟას დიდი პოეტური აღმოჩენა და გამარჯვებაც.

მაგრამ ერთია ბუნების ხმით გამოწვეული ასოციაციები და მათზე შექმნილი ლირიკული პოეზია, მეორე კი ბუნების ხმების, როგორც თავისებური ენის, მინდიასებრი წვდომა. ქართულ პოეზიაში მხოლოდ ვაჟა-ფშაველას ესმოდა მინდიასავით ბუნების ხმები.

ვაჟას ღრმად სწამს, რომ ბუნების ხმები უბრალო ბგერები კი არ არის, ენაა, ამ სიტყვის ანთროპოლოგიური გაგებით:

*რაც კი რამ დაუბადია*
*უფალს სულიერ-უსულო,*
*ყველასაც თურმე ენა აქვს,*
*არა ყოფილა ურჯულო.*

და ბუნების ამ ღვიძლ შვილს ესმის მთების, წყლის, ტყის, ხმელი წიფელის, ხეთა ფესვების, დაობლებული შვლის ნუკრის ენა, მთელი სამყაროს ენა, ესმის და თანაუგრძნობს კიდევაც.

ამ პათოსითაა გაჟღენთილი „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „ხმელი წიფელი“, „ჩხიკვთა ქორწილი“, „ბუნების მგოსნები“ და მწერლის სხვა შედევრები.

მხატვრულ ლიტერატურაში ბუნების შვილთა გაადამიანება ანუ ანთროპომორფიზაცია მხატვრული მეტყველების მიღებული ხერხია. უაღრესად დასამახსოვრებელი სახეები შექმნეს ასეთი გზით ისეთმა პოპულარულმა ავტორებმა, როგორებიც არიან მწერალი-ანიმალისტი სეტონ-ტომპსონი, საქვეყნოდ ცნობილი „ბემბის“ ავტორი — ფელიქს ზალტენი და სხვები.

თუ მხატვრულ ლიტერატურაში ნადირ-ფრინველებისათვის, მითუმეტეს არაცოცხალი ბუნებისათვის, ადამიანური თვისებების მიწერა საგანთა და მოვლენათა ამეტყველების ჩვეულებრივი პოეტური ხერხია, ამას ვერ ვიტყვით მეცნიერებაზე. ბუნების გაადამიანებაში ანუ ანთროპომორფიზმში გადავარდნილი ბუნებისმეტყველი კომპეტენტურობას ვერ დაიკვეხნის. მაგრამ ბიოლოგიის პოპულარული დარგის ეთოლოგიის წარმომადგენლებმა ჭეშმარიტად აალაპარაკეს ცხოველთა სამყარო ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. აალაპარაკეს ევოლუციური კიბის სრულიად სხვადასხვა საფეხურზე მდგომი ცხოველები, დაწყებული ფუტკრებიდან და ჭიანჭველებიდან და დამთავრებული მგლითა და შიმპანზეთი. ამ დარგში თვალსაჩინო მიღწევებისათვის სამი მეცნიერი — ავსტრიელი კონრად ლორენცი, ჰოლანდიელი ნიკო ტინბერგენი და გერმანელი კარლ ფრიში თითქმის ერთდროულად ნობელის პრემიით დააჯილდოვეს.

რა თქმა უნდა, ცხოველთა „ამმეტყველებელ“ ამ მეცნიერებს და მათ მიმდევრებს ანთროპომორფიზაციას ვერავინ დასწამებს. მაშ რაშია საქმე? ცხოველთა რა „ენაზეა“ ლაპარაკი? განა ვისმესთვის უცხოა, რომ ენა, მისი სოციოლოგიური გაგებით, დამახასიათებელია მხოლოდ ცივილიზირებული ადამიანისთვის?!

და მაინც ეთოლოგების უნიკალურმა დაკვირვებებმა ცხოველთა ქცევებზე შესაძლებელი გახადა რაღაც „ენის“ მიგნება.

რა თქმა უნდა, ცხოველთა სამყაროს ენაში წვდომის მეცნიერული მეთოდი სხვაა და მწერლური სხვა.

პოეტები გვასწავლიან ბუნების ბგერების მოსმენას, რაც მათი მშვენიერების აღქმაში გვეხმარება. პოეზიას არც მუსიკა რჩება ვალში: იგი პირდაპირ გვაზიარებს ამ ბგერათა ჟღერადობის მომხიბლავ ძალას.

**არნოლდ გეგეჭკორი,**
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

დასასრული შემდეგ ნომერში



# დაკარგული ჩანთა



ფრანგული ზღაპარი

იყო ერთი ვაჭარი კაცი. ბაზრობებზე სარფიანად ვაჭრობდა და ფულსაც ბევრს შოულობდა. ერთ დღეს, კარგად რომ ივაჭრა და მონაგები ოქროს მონეტებად აქცია, ტყავის ჩანთაში ჩაყარა, დამლა დაუსვა, პატარა კლიტით დაკეტა, მაგრად ჩასჭიდა ხელი და შინისაკენ მიმავალ გზას დაადგა. ეკლესიას რომ გაუსწორდა, ჩანთა შესასვლელთან დატოვა და სალოცავად შევიდა. გამოსვლისას ფიქრებში გართულს, ჩანთა დაავიწყდა და გზა განაგრძო.

ამავე ქალაქში ცხოვრობდა ერთი ძალზე პატიოსანი კაცი, რომელიც ყოველდღე დადიოდა ეკლესიაში. იმ დღეს ჩვეულებისამებრ ილოცა და როდესაც ეკლესიიდან გამოვიდა, დამლადასმული და პატარა კლიტით დაკეტილი ჩანთა შენიშნა, მიხვდა, ოქროს ფულები იქნებოდა შიგ, და გაკვირვებულმა იფიქრა:

— როგორ მოვიქცე ახლა? ქალაქში რომ განვაცხადო ჩანთის შესახებ... ვითომ დამიჯერებენ? არადა რა უფლება მაქვს სხვის ჩანთაზე? გადაწყვიტა მანამ შეენახა ჩანთა, ვიდრე ვინმე არ მიაკითხავდა მას. შინ დაბრუნებულმა, ჩანთა სკივრში შეინახა, ცარცის ნატეხი აიღო და სახლის კარზე დიდი ასოებით დააწერა:

„თუ ვინმემ რაიმე დაკარგა, აქ მოაკითხეთ“.

ამასობაში, ფიქრებში გართული ვაჭარი თავის გზას განაგრძობდა. ფიქრებიდან გამორკვეულმა შენიშნა, რომ ჩანთა აღარა ჰქონდა და თავში ხელი წაიშინა:

— ვაიმე, დავიღუპე, ყველაფერი დავკარგე!

უმალ ეკლესიაში დაბრუნდა იმ იმედით, რომ ჩანთა თავის ადგილას დახვდებოდა, მაგრამ იქ არაფერი დახვდა, ახლა ღვთის მსახურს ჰკითხა: ჩანთა ხომ არ გინახავსო, მაგრამ ამაოდ. დანაღვლიანებულმა ქალაქში დაიწყო ხეტიალი. ხეტიალის დროს იმ პატიოსანი კაცის სახლს მიადგა, კარზე მიწერილ განცხადებას მოჰკრა თვალი და წაიკითხა. იქვე, ზღურბლზე სახლის პატრონი იჯდა.

— თქვენა ხართ ამ სახლის პატრონი? — ჰკითხა ვაჭარმა.

— დიახ, რით შემიძლია გემსახუროთ?

— მითხარით, გეთაყვა, ვინ დაწერა ეს განცხადება?

— აბა, მე რა ვიცი, აქ ათასი გამვლელ-გამომვლელია და რაც მოეპრიანებათ, იმას წერენ, — უპასუხა სახლის პატრონმა და თავი ისე დაიჭირა, თითქოს დაკარგული ჩანთის შესახებ არაფერი იცოდა. — თქვენ, რა, ხომ არაფერი დაგიკარგავთ?

— ჰო, დიდძალი სიმდიდრე დავკარგე.

— მაინც რა?

— რა და ოქროთი სავსე ჩანთა, დამლადასმული და დაკლიტული. ვაჭარმა დამლა და კლიტე აუწერა. პატიოსანი კაცი დარწმუნდა ვაჭრის სიმართლეში, ოთახში შეიყვანა, სკივრიდან ოქროთი სავსე ჩანთა ამოიღო და პატრონს გაუწოდა. რა დაინახა ამ კაცის ასეთი პატიოსნება, ვაჭარმა იფიქრა: „მე ამ სიმდიდრის რა ღირსი ვარ, ეს კაცი უფრო ღირსი ყოფილაო“, და უთხრა:

— უმჯობესია, ეს ოქრო თქვენთან დარჩეს, თქვენ უკეთ შეგძლებიათ მისი შენახვა, ამიტომ გიტოვებთ, თქვენზე ალალია.

— რას ბრძანებთ, ბატონო, როგორ შეიძლება, ეხლავე აიღეთ თქვენი ჩანთა, შეიცხადა პატიოსანმა კაცმა, — მე რა უფლება მაქვს მაგ ოქროზე!

— არა, მე ჩანთას არ წავიღებ, აკი გითხარით, ღირსი არა ვარ მეთქი, — იუარა ვაჭარმა და გასცილდა იქაურობას. სახლის პატრონი ყვირილით გამოედევნა:

— მიშველეთ, დაიჭირეთ, გამქურდა!

მის ყვირილზე მეზობლები გამოცვივდნენ, შეიპყრეს ვაჭარი და პატიოსან კაცს მიუყვანეს.

— რა მოგპარა? ჰკითხა ხალხმა.

— ბატონებო, მას ჩემი პატიოსნების მოპარვა სურს, პატიოსნებისა, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე ასე შეუბღალავად ვიცავდი.

შეიტყო თუ არა ხალხმა სიმართლე, აიძულა ვაჭარი, თან წაეღო თავისი ოქროთი სავსე ჩანთა.

მხატვარი იოსებ სამსონაძე

ფრანგულიდან თარგმნა იონა ბადავიძემ




განყოფილებას
ხელმძღვანელობს
საქართველოს
სსრ
დამსახურებული
მწვრთნელი
შოთა ინწკირველი

შარშან, ივლისში, ჭადრაკის სასახლეში ჩატარდა ოსტატობის კანდიდატთა და პირველთანრიგოსანთა ტურნირი. გავეცნოთ ოსტატობის კანდიდატის, 11 წლის ზურაბ იგრიაშვილის (რუსთავი. რუსთაველის სახ. მე-2 საშუალო სკოლა) ერთ-ერთ საინტერესო პარტიას გამოცდილ მოჭადრაკესთან, ოსტატობის კანდიდატ ოთარ თურქესტანიშვილთან.

## ორთოდოქსალური დაცვა

თურქესტანიშვილი
(თბილისი. ოსტატობის კანდიდატი).
იგრიაშვილი
(რუსთავი ოსტატობის კანდიდატი),
თბილისი, 1984 წელი. ივლისი.

1. d4 d5 2. c4 e6 3. მc3 მf6 4. კg5 კe7 5. e3 0—0 6. მf3 h6 7. კh4 b6 8. cd ed 9. კd3 კb7

მსგავსი პოზიციები გვხვდებოდა კარპოვ-კასპაროვის მატჩში.

10. მe5

აქტიური მოქმედების დაწყება ნაადრევი უნდა იყოს. ჯობდა 10. 0—0 და 11. ეc1

10. ... მbd7 11. f4

ასეთი განლაგება დამახასიათებელია „პილსბერის შეტევისათვის".

11. ... მe4 12. კ×e7 ლ×e7 13. 0—0?

აქ კი, პირიქით, როქი (განვითარება) შეცდომაა, საჭიროა ჯერ პოზიციის გამორკვევა ცენტრში 13. კ×e4 de 14. მ×d7 (რთულია საჭადრაკო სინტაქსი!).

13. ... მ×e5! 14. fe c5!

ნორჩი მოჭადრაკე მოქმედებს ენერგიულად და პოზიციის შესატყვისად. შეიძლება ითქვას, რომ შავების პოზიცია უკეთესია.

15. კ×e4 de 16. ლg4 cd 17. ed f6 18. e6?

ახლა შეიძლება ითქვას, რომ შავების პოზიცია მოსაგებია. ჯობდა 18. მ×e4

18. ... ეae8 19. d5 ლc5

ზუსტია. თუ 19. ... კ×d5, მაშინ 20. მ×d5 ლc5 21. მe3 ლ×e3 22. მფh1 და ეae1-ის შემდეგ e4 პაიკი იკარგება.

20. მფh1 კ×d5 21. ლg6 ე×e6 22. ეf5 ეe5 23. ე×e5 fe 24. ეd1 თუ 24. მ×e4, მაშინ 24. ... ლc2 (ან 24. ... კ×e4 25. ლ×e4 ლb5 იგრიაშვილი) 24. ... ლc4! 25. h3 ეf1 26. მფh2 ე×d1 27. მ×d1 კf7 28. ლd6 ლd4 29. ლb8 მფh7 30. ლ×a7 კh5 (დომინაცია!) 31. მc3 e3 32. g4 კg6 33. ლa6 კd3 34. ლc8 e2 35. მ×e2 ლf2! თურქესტანიშვილი დანებდა.

ამ ტურნირში ოსტატობის კანდიდატის ნორმა შეასრულა თბილისელმა მოსწავლემ, 11 წლის აკაკი იაშვილმა. გთავაზობთ ერთ მშვენიერ დაბოლოებას.

მაისურაძე



იაშვილი

1. ე×g5! მფ×g5 2. ე×h5! ე×h5

თუ 2. ... მფf6, მაშინ 3. ლg4 ეbg8 4. ლh4

3 ლg3 მფf6 4. ლg7 ++

ახლა ვნახოთ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე გათამაშებული ერთ-ერთი საუკეთესო პარტია.

## ტარაშის დაცვა

ბეიშევი
(ოსტატობის კანდიდატი, ყირგიზეთი).
ტაბატაძე
(ოსტატობის კანდიდატი, თბილისის მე-10 საშუალო სკოლა).
ტაშკენტი, 1984 წელი, სექტემბერი.

„ვისაც ეშინია იყოლიოს იზოლირებული ლაზიერის პაიკი, მან ჭადრაკი არ უნდა ითამაშოს".

ტარაში

1. c4 e6 2. მc3 d5 3. d4 c5 4. e3 მf6 5. მf3 მc6 6. cd ed 7. კe2 კe7 8. 0—0 0—0 9. dc კ×c5

შეიქმნა ტარაშის დაცვისათვის დამახასიათებელი პოზიცია, ცენტრში იზოლირებული პაიკით. ითვლება, რომ ასეთი პაიკი მიტელშპილში ძალაა, ხოლო ენდშპილში — სისუსტე. სტეინიცი დებიუტის გათამაშებისას ითვალისწინებდა პაიკთა განლაგების ხელსაყრელიანობას ენდშპილისათვის, რასაც ტარაშმა დაუპირისპირა თავისი აფორიზმი, რომელიც კლასიკად იქცა: „დებიუტსა და ენდშპილს შორის ღმერთებმა მიტელშპილი დააწესეს". სტეინიცი (შემდგომ კი ნიმცოვიჩი და სხვები) მიტელშპილშიც უფრო იზოლირებული პაიკის წინააღმდეგ თამაშს ამჯობინებდა. თანამედროვეთაგან ბოტვინიკი ალბათ პირველი იყო, რომელიც ჯერ კიდევ 30-იან წლებში საგანგებოდ სწავლობდა და თამამად თამაშობდა პარტიებს ცენტრში იზოლირებული პაიკით. ტარაშის დაცვის რეაბილიტაცია კი სპასკის დამსახურებაა.

10. ლc2(?)

უკეთესი იქნებოდა 10. a3, შემდგომ b2—b4 და კb2. ახლა ტაბატაძე სარგებლობს თეთრი ლაზიერის არახელსაყრელი პოზიციით და ინიციატივას ეუფლება.

10. ... მb4 11. ლb3?

ჯობდა 11. ლd1 (11. ... კf5 12. a3 მc2 13. ეb1 d4 14. ed მ×d4 15. მ×d4 კ×d4)

11. ... კf5 12. მd4

იმუქრებოდა 12. ... კc2 13. ლa3 მd3 14. ლa5 b6 15. ლb5 a6 16. ლc6 მb4 17. ლb7 ეe8 და ეe7 ლაზიერის მოგებით.

12 ... კ×d4 13. ლ×b4 კb6.

საყურადღებოა 13 ... კe5.

14. კf3 ეc8! 15. ეd1 კc2 16. ეd2 ეc4 17. ე×d8 ე×d8 19. კ×b7 კa5

თამაშ ტაბატაძეს ეს პოზიცია ჰქონდა მხედველობაში, როცა გააკეთა 14. ... ეc8!

20. f3

იმუქრებოდა 20. ... კ×c3 და ეd1++. პოზიცია რამდენადმე გამოირკვა. შავებს პაიკი აკლიათ, სამაგიეროდ, მათი ფიგურები მობილიზებული და კოორდინირებული არიან, ხოლო თეთრების ლაზიერის ფრთის განვითარება შეფერხებულია.

20. ... ეd3 21. კa6

საჭირო იყო 21. a4 სვლით პაიკის დაბრუნება.

21. ... ე×c3! 22. კd2 ეa3! 23. კe1

ჯობდა 23. ba კ×d2, თუმცაღა თეთრებს აქაც უარესი მდგომარეობა აქვთ.

23. ... კc3!!

მოულოდნელი და ბრწყინვალე სვლაა, მახვილგონივრული ფეიერვერკის გვირგვინი!

ამოსახსნელად გთავაზობთ ამავე სპარტაკიადაზე გათამაშებული ერთ-ერთი პარტიის ფინალს, რომელშიც ზუგდიდელმა ოსტატობის კანდიდატმა გიზო ჟურღულიამ ლენინგრადელ ოსტატობის კანდიდატ ალექსანდროვთან განახორციელა ტაქტიკური დარტყმა.

ჟურღულია



ალექსანდროვი

სვლა შავებისაა.
ველით თქვენს პასუხს.



## ბედიც ამას ქვია!

ერთმა მექსიკელმა ბაზრობაზე ფრიად იაფად შეიძინა გაცვეთილი პიანინო, იმდენად გაცვეთილი, რომ მასზე დაკვრა შეუძლებელი იყო — თითქმის ყველა კლავიში ჩაცვენოდა. ამ ამბის გამო საწყალი მექსიკელი მეზობლების დაცინვის საგნად იქცა, მაგრამ მან იმათ ჯიბრზე ყველაზე მეძვირე და გამოცდილი ამწყობი მოიყვანა. როცა ამწყობმა სახურავი ახადა, მან პიანინოს კედელზე მიმაგრებული ვიოლინოს ბუდე აღმოაჩინა, რომელსაც ცალი მხრიდან ხრახნები ასძრობოდა და პირდაპირ სიმებზე იდო, რაც ხელს უშლიდა ნორმალურ ჟღერადობას. მაგრამ მთავარი იყო ის, რაც ბუდეში აღმოაჩინეს: ეს გახლდათ ვიოლინო ნიშნით „ანტონიო სტრადივარიუსი, 1716“.

ამჟამად პიანინო შესანიშნავად ჟღერს, მაგრამ ვის სცალია ახლა მისთვის, როცა ამ სახლში სტრადივარიუსის ვიოლინოს ფლობენ?

## მარილი ჩვენი არსობისა

სამხრეთ ინდოეთის ქალაქი ტუტუკატი ოდითგანვე ცნობილი იყო, როგორც გამბედავ მეზღვაურთა სამშობლო და მარილის გადამუშავების ცენტრი. მარილს ახლაც ძველი ხერხით მოიპოვებენ. ზღვის წყალს „აბაზანებში“ აგუბებენ. შემდეგ კი საქმეში მზე ერევა. წყლის ამოშრობის შემდეგ ფსკერზე მარილის კრისტალები რჩება. სამუშაო პირობები აქ ძალზე მძიმეა — მთელი დღე, მცხუნვარე მზის ქვეშ, ადამიანები მარილიან ხსნარში დგანან. მაგრამ ამ წარმოებამ ხალხს სამუშაო მისცა. ამიტომ მარილს აქ განსაკუთრებულ პატივს სცემენ, ისე, რომ ტრადიციისამებრ ლიმონის წვენს შაქარს კი არა, მარილს უშვრებიან.

## პრეისტორიული სურათების გალერეა

იტალიის დაბა ვალ-კამონიკაში გაიხსნა სურათების გალერეა. კლდეზე შესრულებული 170 ათასი ნახატი ასახავს კაცობრიობის ისტორიას 400 თაობის მანძილზე. ეს ისტორიის „გიგანტური საილუსტრაციო წიგნი“ იუნესკომ მსოფლიოში უმნიშვნელოვანეს არქეოლოგიურ ძეგლად გამოაცხადა. მას იცავს სახელმწიფო.

## ქართმისანი

როდესაც კანადის ერთ-ერთ კუნძულზე გაყვანილი კერძო რკინიგზა სახელმწიფოს გადაეცა, ახალმა ადმინისტრაციამ მოსამსახურეთა სიაში უცნაური თანამდებობა ამოიკითხა: „ქართმისანი“.

აღმოჩნდა, რომ მთა თეიბლის ძირას ხშირად ქრის საშინელი სიმძლავრის ქარი, რომლის სიჩქარე ხანდახან საათში 100 კმ-ს აღწევს. ერთხელ უეცრად მოვარდნილმა ქარიშხალმა ხიდიდან თოთხმეტი სატვირთო ვაგონი გადაყარა. აი, მაშინ გაახსენდათ ერთ-ერთი ფერმერის არაჩვეულებრივი უნარი: ის წინასწარ გრძნობდა მოსალოდნელი ქარის მიმართულებასა და სიჩქარეს. იგი სამსახურში მიიწვიეს. დღეში ორჯერ მაკ-დუგალი მიდის მთის ძირას და შემდეგ სადგურში რეკავს. მის პასუხზეა დამოკიდებული, გაუშვებენ თუ არა მატარებელს. რკინიგზის ახალმა ადმინისტრაციამ უცვლელად დატოვა „ქართმისანის“ შტატი.



## საინჟინრო სიახლენი

### „ჩუმად! მიმდინარეობს ოპერაცია!“

კატარაქტის მოცილებას „ქირურგის მარგალიტად“ თვლიან, რადგან იგი ტექნიკურად ძალზე რთული ოპერაციაა და ექიმისაგან ჭეშმარიტ ოსტატობას მოითხოვს. აშშ-ის საატესტაციო კომისია ყოველწლიურად ამოწმებს ახალგაზრდა ოფთალმოლოგების მომზადების დონეს. დღეს, კოსმოსური კავშირგაბმულობის მეშვეობით, ამგვარ კომისიებში ყველა სპეციალისტს შეუძლია მონაწილეობის მიღება. გამოცდა მიმდინარეობს უმაღლეს, შეიძლება ითქვას, „კოსმოსურ დონეზე“. ოპერაცია ჩაიწერება ვიდეომაგნიტოფონზე, შემდეგ ტელეჩანაწერი ეგზავნება საკონტროლო პუნქტს, იქიდან კი — თანამგზავრს, რომელიც მას გადასცემს ნებისმიერ ქალაქში. მალე ასეთ „ტელეგამოცდებს“ გაივლიან პედიატრები, თერაპევტები, ქირურგები.

### ხარაჩოები რელსებზე

წინათ სამშენებლო ხარაჩოებს ხისგან ამზადებდნენ და მხოლოდ ერთგზის იყენებდნენ. ამჟამად ხარაჩოს კონსტრუქციები ლითონის მილებისაგან კეთდება, ფენილები კი ისევ ხისაა. მაგრამ მათი დაყენება დიდ დროსა და შრომას მოითხოვს. ეს პრობლემა წარმატებით გადაჭრეს გერმანელმა კონსტრუქტორებმა: მათ ხარაჩოები რელსებზე დააყენეს. შენობების ფასადების აღდგენა ბევრად უფრო სწრაფად მიმდინარეობს და საგრძნობლად იაფიც ჯდება.

### რეკორდსმენი საბეჭდი მანქანა

საბეჭდ მანქანაზე ბეჭდვის სისწრაფის მსოფლიო რეკორდი წუთში 800 ნიშანია. ჰოლანდიელმა სპეციალისტებმა გამოიგონეს ახალი მოწყობილობა „ველოტაიპი“, რომლის მუშაობაში გამოყენებულია მარცვლებით ბეჭდვის პრინციპი. კლავიატურა ისეა მოწყობილი, რომ ხელების მოძრაობა მინიმუმამდეა დაყვანილი. მანქანა ორ „მინდვრადაა“ გაყოფილი, მარცხნივ განლაგებულია ძირითადი თანხმოვნები, რომლებითაც იწყება წინადადებები. შუაში ხმოვნებია. თანხმოვნები, რომლებიც ძალზე ხშირად იხმარება, ორივე „მინდორზეა“ განლაგებული. „ველოტაიპი“ აღჭურვილია მიკროპროცესორით, რომელიც საშუალებას არ აძლევს მანქანას ასოები შეეშალოს.

### რობოტი წყალქვეშ

გასული წლის შემოდგომაზე ჩრდილოეთის ზღვაში შეიძლებოდა უცნაური მოვლენის მოწმე გამხდარიყავით: 56 მეტრი სიგრძისა და 12 მეტრი სიმაღლის უზარმაზარი ლითონის ნაგებობა ნელა ჩადიოდა წყალში — ფსკერზე ეშვებოდა ყველაზე დიდი წყალქვეშა რობოტი, რომელიც ამერიკულმა ნავთობის კომპანიებმა შექმნეს. რობოტს შეუძლია დამოუკიდებლად გაბურღოს ჭაბურღილი, ამოიღოს ნავთობი და აირი, გადმოიტანოს ისინი მცურავ პლატფორმაზე. მის ტექნიკურ მომსახურებაზე ზრუნავს მეორე რობოტი — ზედაპირზე მყოფი.

გაშიშვლებულ მანჭვალს. მანჭვალის ნაწილს ფუძესთან მწებარა ლენტის (მაგნიტურ ფირს რითაც აწებებენ) ორი-სამი ფენა შემოახვიე და უსაფრთხოება გარანტირებული გექნება.





● ელექტრონული მაჯის საათის (სამამულოს თუ უცხოურის) ბატარეა შეიძლება თვითონვე დამუხტო და ამით გააგრძელო მისი სამსახურის ვადა. აიღე 1,5-ვოლტიანი ბატარეა („მარსი“, „სატურნი“) და ლითონის ჩანგლის მეშვეობით მიუერთე მას შენი საათის ბატარეა, „პლუსი — „პლუსს“ და „მინუსი“ — „მინუსს“. დამუხტვის დრო 10 წუთია. ამგვარად დამუხტული ბატარეა 3 თვეზე მეტ ხანს მუშაობს.

● ჩაქუჩს ტარი არ გასძვრება, თუ პალოსთან ერთად მომქერ კავსაც გამოიყენებ. აიღე 2 მმ-იანი ლურსმანი ან ფოლადის მავთულის ნაჭერი და მოღუნე ისე, როგორც ნახაზზეა ნაჩვენები. ჩაქუჩის ტარში ორი ნახვრეტი გაბურღე, შიგ კავი ჩასვი და ბოლოები ჩაუღუნე.



● როცა ფოტოქაღალდს ამჟღავნებ, აბაზანას ორი ღარი გაუკეთე და პინცეტი სითხეში აღარ ჩაგიცურდება.



● გამხმარ ფუნჯს თავი ჩააყოფინე გამხსნელში, რომელიც პოლიეთილენის აფსკის თავმოკრულ ნაჭერშია ჩასხმული. ეს ხერხი კარგია იმით, რომ გამხსნელი ცოტა კმარა და თანაც პრაქტიკულად არ ორთქლდება ხოლმე.

● ავტომანქანის საბარგულში მოთავსებულმა კანისტრამ რომ არ იხრაგუნოს, ადექი და ორი რეზინის რგოლი შემოაკარი, რომლებიც შეგიძლია ძველი საავტომობილო კამერისაგან გამოჭრა.



● როზეტში შტეფსელის ჩანგლის ჩართვისას შეიძლება თითით უნებლიეთ შეეხო



## სარჩევი


ს. შამფრიანი — მუდამ მახსოვდეს (ლექსი) . . . გარეკ. 2
ნ. აფხაზავა — მე შენს გზას მივყვები, წინაპარო! (ნარკვევი) 1
ვ. ჩეკურიშვილი — ფიდო პაპას სიზმარი (მოთხრობა, გაგრძელება) . . . . . . . 4
ვ. გორგანელი — ფორე მოსულიშვილის გახსენება (ლექსები) 10
მ. გელაშვილი — მობრძანდით, წიგნთან დაგამეგობრებთ (ნარკვევი) . . . . . . . 12
მ. თომაძე — „გამარჯობა, რევოლუციავ!“ (დოკუმენტური მოთხრობა) . . . . . . . 15
ნ. კილასონია — მოჭირნახულე (წერილი) . . . . . 17
აისი . . . . . . 18
ალ. სერაფიმოვიჩი — ქარიშხალი (მოთხრობა) . . . . . 21
კოცონი . . . . . . 26
არნ. გეგეჭკორი — ჯადოსნური დირიჟორის წკირი ანუ ბგერები ბუნებაში და სმენის ესთეტიკა (წერილი, გაგრძელება) 27
დაკარგული ჩანთა (ფრანგული ზღაპარი) . . . 29
მხედრიონი . . . . . . . . 30
ჯადოსნური სარკე . . . . . . . 31
საინტერესო სიახლენი . . . . . . 31
გამოგადგება . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . . . . გარეკ. 3
ნორჩი ქორეოგრაფები (ფოტომონტაჟი) . . გარეკ. 4


---

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა ედუარდ ამბოკაძისა.

---


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზავა, ზურაბ გოცვაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, რობერტ ლარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შეწირული, ზურაბ წვერიკმაზაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე.

---

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

---

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის—93-97-03, 93-53-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01 გადაეცა ასაწყობად 20. 12. 84 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 13. 02. 85 წ., ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^{1}/_{3}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. № 2879. ტირაჟი 157.000 ეგზ., უე 05065

---

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

---

**«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.**
**Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.**
**Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.**
**Формат $60 \times 90^{1}/_{3}$, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.**
**Тираж 157 000 экз. Цена 20 коп.**


---

© „პიონერი“, 1985 წ.

## კროსვორდი

თარაზულად: 6. მაზარა; 7. რძის ნაწარმი; 8. საბჭოთა პიანისტი, 9. აზიის სახელმწიფო; 10. წიწვოვანი ხეების თავთავის მსგავსი ყვავილედი; 13. ძიძა; 15. რუსი საბჭოთა მწერალი; 17. ორატორულ ხელოვნებას დაუფლებული გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე; 18. სამეჯლისო ცეკვა; 19. ყოფაქცევის ნორმები, მორალი, ზნეობა; 21. გარეული ცხოველი; 23. დახრილი, ალმაცერი; 25. პარიზის კომუნის ნორჩი მონაწილე; 27. შავი ზღვისპირა საკურორტო ქალაქი; 28. ისტორიული ძეგლი საქართველოში; 29. ქართული ჟურნალი.



შვეულად: 1. ძველი ქართული სპორტული თამაში; 2. წელიწადის თვე; 3. რიგითი მეზღვაური; 4. მოვერცხლისფრო ლითონი; 5. მცოხნელი ცხოველი; 11. აპარატი, რომელშიც გაერთიანებულია რადიომიმღები და ფირსაკრავი; 12. ესპანეთის ისტორიული ოლქი; 13. რუსი საბავშვო მწერალი; 14. ქართველი საბჭოთა მწერალი; 15. ალ. დიუმას ნაწარმოების პერსონაჟი; 16. პირველი მარქსისტულ-ლენინური არალეგალური გაზეთი; 20. მდინარე ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთით; 22. ნახევარი გამარჯვების მიმნიჭებელი ილეთი კარატეში; 24. ყურძნის წვენი; 25. ქართველი ფეხბურთელი; 26. აზიის სახელმწიფო.

შეადგინა ს. ბაგუამ

## გამოცანები

ერთ უცნაურ და-ძმას ვიცნობ,
შვილებს ერთი კერის,
ძმის თმა ვერცხლისფერია და
დისა — ოქროსფერი.
ძმას დღე სძინავს,
ღამით დადის
შავი მოსასხამით,
და კი დღისით დასეირნობს,
თვალს არ ხუჭავს წამით.
ერთმანეთზე ნახულობენ
სიზმრებს ფერად-ფერადს,
ხოლო ცხადში ერთმანეთი
არ უნახავთ ჯერაც.

ნ. მარიხია

●

ნაზი, მორცხვი მცენარეა,
სულ ცოტა რამ აშინებს:
ოდნავ თუკი შეეხები,
ფოთოლს კეცავს მაშინვე.

●

ხრიოკ ველზე კუზიანი
აქლემები წვანან.
წვანან, მაგრამ მიცოცავენ
შეუმჩნევლად, წყნარად.

●

თუკი სადმე ნახავს
სტაფილოს თუ ჭარხალს,
არ ახანებს წამსაც,
ბასრი კბილით დახრავს.

გ. შეთეკაური

## თავსატეხი



კითხვის ნიშნები შეცვალე შესაბამისი საწონებით.

## შარადები

მეორე და მესამე
მუსიკალურ ბგერებს
შესავსებად ხმოვანი
წაუმძღვარე მერე, —
მყისვე გადაევლება
ტყიან მთებს და სერებს.
თუ შეუცვლი იმ ხმოვანს.



რაც დაურთე თავში,
ორთვლიანი საზიდრის
სახელია მაშინ.

●

წყვილი ბგერით სათქმელი
მსხვილთვალება ფრინველი
ასაკინძი შარადის
ნაწილია პირველი.
მეორეა დასტური, —
ისიც მოკლედ ითქმება.
შეკრიბე და საყვირის
სხვა სახელი იქნება.

ზ. ამირანაშვილი

### პასუხი 1985 წ. № 1-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

#### კროსვორდი

თარაზულად: — 5. მენზურა; 7. ფრაკი; 9. კენია; 12. ხმალი; 16. პიესა; 17. აბაშა; 18. აგური; 19. ტორტი; 20. ალამი, [illegible]. 21. ქარტია; 23. ფლანგი; 26. ტრაპი; 27. მაინი; 28 მაკარონი; 29. კარაველა; 30 შტაბი; 33. მარკა; 35. აგონია; 36. ბალონი; 38. რეგბი; 41. ლვოვი; 42. კორტი; 44. ნუკრი; 45. ელიტა; 46. იტური; 48. ილიჩი; 51. ისანი; 53. ლანცეტი; 54. ნაეცეცი.

შვეულად: — 1. ამება; 2. ზვარე; 3. ჰიმნი; 7. ფრაზა; 8. ირისი; 9. კარატე; 10. ნეიტრონი; 11. აკაცია; 12. ხურმა; 13. იუანი; 14. პერიოდი; 15. ბალკონი; 21. ქიმია; 22. იარდი; 24. ლიანა; 25. იმამი; 31. არქტიკა; 32. ფენომენი; 34. რეაქცია; 37. კლოუნი; 38. ფილტრი; 39. რეიდი; 40. ირანი; 42. აზოტი; 43. ირემი; 47. ურანი; 49. ლაიკა; 50. ჩანგი; 52. აქცია.

#### გამოცანები

ფუტკრები, თხუნელა, აეროსტატი, დათვი, სირაქლემა, ხელეჩო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლანჩხუთის რაიონის სოფელ [illegible] კოლმეურნეობის კულტურის სახლთან ჩამოყალიბებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი ცნობილია არა მარტო რაიონში. იგი ქ. სამარყანდში ინტერნაციონალური ცეკვის ფესტივალზე პირველი ხარისხის დიპლომითა და საპატიო სიგელით დაჯილდოვდა, ხოლო ნორჩმა მოცეკვავეებმა — აცანის საშუალო სკოლის მეთხეკლასელებმა და-ძმა ნარიტა და შმაგი უროტაძეებმა მოსწავლეთა XI რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე ოქროს მედლები დაიმსახურეს.

მაყურებლებს მოსწონთ აგრეთვე მოსწავლეთა დრამწრის წარმოდგენებიც.

674/30

# ნორჩი ქორეოგრაფები





დ. იაკობაშვილის ფოტო